დროება

ყოველდღიური სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 40 შაბათი, 21 თებერვალი 1909 წ. № 40

გაზეთი «დროება» სურათებიანი დამატებით ერთის წლით ღირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კ., ერთის თვით—1 მან. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს ხელ-ახლა არ [illegible] ხავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ [illegible] მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან [illegible] დღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

მიიღება ხელის-მოწერა 1909 წლისათვის

დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა 1909 წელს გაზეთს აქვს

სურათებიანი დამატება

დამატება გამოდის კვირაში ერთხელ—კვირაობით.

გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარეთ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კაპ., ერთი თვით—1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

თვიური ფასები ტფილისსა და ტფილისს გარეთისა:

12 თვით—8.50, 11 თვით—8.10, 10 თვით—7.60, 9 თვით—7.10, 8 თვით—6.50, 7 თვით—5.80, 6 თვით—5.10, 5 თვით—4.40, 4 თვით—3.70, 3 თვით—3 მ., 2 თვით—2 მ., 1 თვით—1 მ.

ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში:

„დროების“ კანტორაში—დიდი ვანქის ქუჩა, N 12; წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში შ. ქუჩუკაშვილთან—სასახლის ქუჩა, თავად-აზნ. ქარვასლა; ნაძალადევში ძეპურე მელიტონ ღოღობერიძესთან—მაგისტრალნი ქუჩაზე, გრიგოლ ჩარკვიანის სახლში; რკინის გზის მთავარ სახელოსნოში ვანო ჭავჭავაძესთან—ტოკარნი ცეხი.

პროვინციალურ აგენტებთან ხელის-მოწერა მიიღება: **ახალციხეში**—კ. გვარამაძესთან; **ქუთაისში**—ის. კვიცარიძესთან; **გორში**—ს. პ. მშველიძესთან; **სურამში**—ქვლივიძესთან; **ცხინვალში**—ა. კვალინიძესთან; **თელავში**—კ. ონიკაშვილთან.

ხელის-მოწერა რედაქციის კანტორაში შეიძლება: დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба“ И. С. АГЛАДЗЕ.

წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის

ელეონორა მიხეილის ასულის გურიელისა

დანიშნულია კვირას, 22 თებერვალს, ქ. ქუთაისში საფიჩხის ეკკლესიაში. (2—2)

თავ. იოსებ პაატის ძე და კნ. ნინო ზაქარიას ასული ნიჟარაძენი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 22-ს თებერვალს, საყვარელ შვილის

კნიაჟნა მარიამის (მარუსიას)

სულის მოსახსენებლად გარდახდილი იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი წმ. ნინოს ქართველთა მართლ-მადიდებელ ეკლესიაში. (1—103—1)

წარმოდგენა № 2. ქართული თეატრი **წარმოდგენა № 2**

შაბათს, 21 თებერვალს, 1909 წ. ქართულ დრამ. საზოგ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება **პირველად ორი ახალი პიესა გოფმანსტალისა.**

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ

ზობეიდას ქორწინება

პიესა 3 მოქმედებად თარ. ირ. ევდოშვილისა.

რაც არ მერგება არ შემერგება

კომ. ხუმრობა 1 მოქმედებად ვ. გუნიასი.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ა. კარგარეთელი, მ. მდივანი, ბ. ნებიერიძისა, ვ. ჩერქეზიშვილი, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი. ვ. გუნია, ნ. გვარამძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, ი. იმედაშვილი-ხამძელი, ი. ყიფიძე, მ. საფაროვი, ვ. ურუშაძე, კ. მათიროშვლი და სხვ.

ადგილების ფასი: ლოჟები 15 მ.-დან 3 მ.-მდე, პარტერი 5 მ.-დან 1 მ. 25 კ.-მდე, გალერეია 60 კ.-დან 25 მდე, მოწაფეთათვის 50 კაპ.

დასაწყისი ზუსტად საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად „ახალი ცხოვრება“, „ჩერჩეტი“, „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“.

რეჟისორი **ვ. შალიკაშვილი.** რეჟისორის თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**

ადმინისტრაცია დრამატ. საზოგადოებისა.

„სორაპანი“-ს ამხ. გამოცემა

ქართველი და უცხოელი მწერლები

დაიბეჭდა წიგნი პირველი

„ვაჟა-ფშაველა“

„ცრემლები“

დაურიგდება ხელის მომწერლებს—28 თებერვალს. (2—1)

„ახალი თეატრი“ იავორსკაიასი

დილის წარმოდგენა

კვირას, 22 თებერვალს, წარმოდგენილი იქნება რუსულ ენაზედ ჩირიკოვის ცნობილი პიესა

„ებრაელები“

4 მოქმედებად

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი. — დასაწყისი დილის 12 საათზედ.

ადგილების ფასი დაკლებულია. — დირექცია ლ. ბ. იავორსკაია. (1—1)



ცირკი ძმ. ნიკიტინებისა

შაბათს, 21 თებერვალს, წარმოდგენა სამ-მოქმედებად. **ჩვენი შაბათები.** მონაწილეობას იღებენ პირველ-ხარისხოვანი არტისტები. დღეს უკანასკნელი დღე კონკურსი კარგ აგებულებისა. დარიგდება პრიზები. . ესე 11 საათზე ხუთი საინტერესო **ჭიდაობა;** იჭიდავებენ: 1. **კრახუტო და ლურიხი;** პრიზი 300 მან. 2. **გოლიდი და უსუფ-მაჰმად-ოღლი;** 3. **ოსიპენკო და შულცი; 4. პოსპეშილი და მულდონი;** 5. **ლიტვინოვი და იაგანსონი.** ცალკე ყოველ დღე აჩვენებენ საკვირველ ცხენს **ლუისს.** ფასი 30 კაპ. ბავშვები და მოსწავლენი—15 კაპ. დაწვრილებით პროგრამებში.

დასაწყისი საღ. 8 ნახ. ს.

ამ დღეებში ბენეფისი ვ. ა. ლიაგინისა.

(0—5) დირექტორი ცირკისა **აკიმ ალ. ნიკიტინი.**

ექიმი კ. თ. ტყეშელაშვილი ქუთაისში

იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფებს (სიფილისი, სუსუნატი, სამარდე მილის, ბუშტის და თირკმელების სატკივარი), ტფილისის ქ., ფირალოვის სახლი (ქარხანა) (120—დ.—64)

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. ნ. 100)

ექიმები კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი და მ. ო. სუხარევსკი

იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდორონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—99)

ექიმი ჟაფარიძე ქ. ქუთაისში

შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ტფილისის ქუჩა. ს. თ. ნიჟარაძისა (6—63)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. ყორღანოვის ქუჩა N 14. (უ)

ექიმი თვალისა ზ. მ. ცხვედაძე

დორპატის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად ნამყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველ დღე, დილით 11—1 ს. და საღამოს 5—6 ს.: ვერა, ოლგას ქ. N 31, ს. სარაჯიშვილისა. (25—38—23)

ექიმი გ. ნ. მაგაკიანი,

მიხეილის ქ., ს. ჭავჭანიძისა. შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი. სპეციალური ექიმობა: ნაწლავებისა და კუჭის ავადმყოფობანი. დილით 12—1 ს., საღამოთი 5—7 ს. (25—ხალ.—13)

ექიმი მ. ნ. მელიქიშვილი

იღებს ქირურგიულ და ქალების სნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 საათზე დილით და 4—6 საათზე საღამოთი. ბროსსეს ქუჩა, N 11. (75—13)

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 481.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

რუდენკო—შინაგანი სნეულ. კვირა 3—4 საათ.

რიდელი—სიფილისი, კანისა, ვენერიული, ყოვ. დღე 2—3 ს.

კალამქაროვი—ბავ. და ქალთა. ყოველ დღე 4—5 საათ.

ერმოლაევი—ბავშ. და შინაგ. ყოველ დღე 1—2 ნახ. ს.

პავლოცკი—ქირურგ. ყოველდღე 4—5

იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბთ., ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.

ბოჟოვსკი—შინაგანი, ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

გორალევიჩი—შინაგ., ყოველ დღე. 11 ნახ.—12 ნახ. ს.

ათენიანცი—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე 1—2 ს.

იაკ. ჩუდნოვსკი—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ., ოთხშ. და პარასკ. 4—5 ს.

ბალდინა-ნოვიცკაია—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე. 4—5 საათ.

ვნუკოვი—ქირუგ. ყოველ დღე 2—3. საათ.

ნოვიცკი—ქალ., ბავშ. ყოველ დღე 1—2 საათ.

ნევზოროვა—კბილისა, ყოველ დღე 11—საათ.

პივარსკი—კლინიკური ანალიზი.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—ნ.—12)

სამკურნალო

გარედან მოსიარულეთათვის

ექიმი ა. ი. გრიგორიანისა.

რიყის ქ., ს. N 78, (სათივე მოედ. პირდაპირ.)

ს. მ. ახპისოვი—ყელისა, ცხვირისა და ყურისა 2—3 საათამდე.

ა. ი. გრიგორიანი—ქირურგიული ავადმყოფობანი 12—1 ს.

ს. ზ მირზოევისა—თვალის ავადმყოფობანი 12—1 ს.

ი. ა. ფრიდონოვი—შინაგანი და ბავშვის ავადმყოფ. 1—2 ს.

ს. ა. თარხანოვი—ბებიაობა, ქალისა და ბავშვის ავად. 9 ნახ.-დან 10 ნახ.-ს.-მდე.

ა. ი. შახ-აზიზოვი—საშარდე, ვენერ. (სიფილ.) და კანისა 2—3 ს.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსულტაციები შეთანხმებით.

სამკურ. გამგე დ-რი **ა. ი. გრიგორიანი.** (150—ხალ.—1)

მოწოდება

(ქართველ საზოგადოების მიმართ ეგნატე ნინოშვილის ძეგლის შესახებ)

17 მაისს 1909 წ. შესრულდება ხუთმეტი წელიწადი მას შემდეგ, რაც ჩვენმა ღარიბმა ლიტერატურამ დაჰკარგა ერთი უნიჭიერესი მწერალთაგანი, ჯერ ისევ ახალგაზდა ბელეტრისტი ეგნატე ნინოშვილი (ინგოროყვა).

მიუხედავად ხანმოკლე მოღვაწეობისა, განსვენებულმა უკვე დაიდგა ჩვენს გულში ხელთუქმნელი ძეგლი, რომელსაც დაიმსახურებენ ხოლმე მარტო დიდ-ბუნებოვანნი მოამაგენი ქვეყნისა. იგი უკვე ჩაეწერა იმ მცირე რიცხოვან რაზმში, რომელიც წარმოადგენს დიდებას და სიმაყეს ჩვენის ხალხისას. ამის გამო პატივისცემა მისის ხსოვნისა შეადგენს ჩვენთვის აუცილებელს მოვალეობას.

ამ ბოლოს დროს ქართველ საზოგადოებაში დაიბადა სურვილი ხსენებულ მოვალეობის შესრულებისა. აქა-იქ კიდეც იკრიფება შემოწირულებანი საყვარელ მწერლის ძეგლისათვის. ჟურნალ „ჯეჯილის“ რედაქტორმა ანასტასია მიხეილის ასულმა წერეთლისამ უკვე გამოიტანა ნებართვა ადმინისტრაციისა ფულის მოსაკრებად ხელის მოწერის გამართვით და 7 ამ თებერვალს შეადგინა განსაკუთრებული კომიტეტი, რომელმაც უნდა აწარმოოს ეს საქმე მისი თავმჯდომარეობით.

კომიტეტის წევრებად არიან; არსენ მამულაშვილი, ვარლამ ქიქინაძე, მიხეილ ჩოდრიშვილი, ნიკო ქიქინაძე, პეტრე გელეიშვილი, სამსონ ფირცხალავა, ს. მაჭავარიანი და სტეფანე ქრელაშვილი.

კომიტეტი, აცნობებს რა ამ ამბავს საზოგადოებას, სრულად დარწმუნებულია, რომ ყოველი შეგნებული ქართველი აღმოუჩენს მას სათანადო დახმარებას როგორც საკუთარის წვლილის შემოტანით, ისე ნაცნობთა გამხნევებით იმისთანა წმინდა მოვალეობის შესასრულებლად, როგორიც არის პატივისცემა დამსახურებულის მოღვაწისა ჩვენს მწერლობაში, დაუვიწყარის ეგნატე ნინოშვილისა,

შემოწირულებას მიიღებენ „ჯეჯილის“ რედაქციაში (არტილერიის ქუჩა № 5) და აგრეთვე თვითეულნი წევრნი კომიტეტისა. პროვინციებში ფულის მოკრეფა მიენდობა საზოგადო დაწესებულებებს და კერძო პირებს, რომელნიც ცალკე იქნებიან გამოცხადებულნი გაზეთებში. (3—უ—3)

ქუთაისის სასოფლო სამეურნეო ამხანაგობა

„კოლხიდაში“

დაიწყეს წაღება სხვა და სხვა ჯიშის **დამყნილ ვაზისა.** „აქვე იყიდება სხვა და სხვა თესლეულობა: **შემოწმებული აბრეშუმის გრენი.** საიმედო ფირმებისა „**პასხალიდი**“ და სხვა ხეხილის ნერგები და სხვა.“ საჭირო ცნობები და პრეის-კურანტების მიღება შეიძლება გამგე გ. მ. ჩიჯავაძისაგან. (20—6.—17)

ტფილისი, 21 თებერვალი

სათათბირო შეუდგა სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვას და სესსიის დასრულებამდე მისი უმთავრესი სამუშაო იქნება ამ საქმის დაბოლავება. სხვა საკითხებისთვის, მით უმეტეს მთავარ რეფორმებისათვის, იგი ამ სესსიაში ველარ მოიცლის. სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვა თავის თავადაც უდიდესი საქმეა სახალხო წარმომადგენლობისათვის, მაგრამ დღევანდელ რუსულ პირობებში ეს უდიდესი საქმე უბრალო ფორმად არის გადაქცეული და სათათბიროს როლი უბრალო ბუჰგალტერის მოვალეობას უფრო წარმოადგენს, ვიდრე კანონმდებელ პატრონისას, რომელმაც ქვეყნის ინტერესების მიხედვით უნდა აგოს სახელმწიფოს შემოსავლისა და გასავლის შენობა. ძველ რეჟიმის ბიუროკრატია ისე იჭვიანად იცავს თავის უპირატესობას ამ საკითხში, რომ თვით მესამე სათათბიროს, ამ ყურმოჭრილ მონასაც-კი, არ აძლევს საშუალებას ცოტათი მაინც კრიტიკულად შეეხოს ბიუჯეტს და ოდნავ მაინც გააუმჯობესოს მისი ზოგიერთი მხარე. გაიხსენეთ, მაგალითად, ის მარტივი სურვილები, რომელიც შარშან გამოსთქვა მესამე სათათბირომ: ცხრა მეათედი მათგან მთავრობამ უყურადღებოდ დასტოვა. რაც შეეხება უფრო თვალსაჩინო გადაწყვეტილებებს, როგორც მაგალითად, ფლოტის გაძლიერებისთვის ახალ კრედიტის მიცემაზე უარის თქმას, მთავრობამ ამას არავითარი ყურადღება არ მიაქცია და თავისი მოთხოვნა უსათათბიროდაც მშვენიერად აისრულა...

ახალი ბიუჯეტი (1909 წლისა) არსებითად არაფრით არ განსხვავდება არც შარშანდელ ბიუჯეტისაგან, არც ვიტტეს დროის ბიუჯეტებისაგან. იგივე დაფარული დეფიციტი, იგივე უსისტემობა, იგივე დახავსებული საფუძვლები სახელმწიფო შემოსავლისა და იგივე უპარსებლო ხარჯი ხალხისაგან,—უკიდურესობამდე გაყვლეფილ ხალხისაგან—აღებულ ფულებისა. ჩვენ ვამბობთ არსებით განსხვავებაზე, ესე იგი, ბიუჯეტის სისტემაზე, მის სულსა და გულზე. ამ მხრით ახალი ბიუჯეტსაც არავითარი განსხვავება არ ეტყობა და საკონსტიტუციო რეჟიმს ოდნავადაც არ უცდია შესცვალოს წინანდელ ბატონ-ყმურ, ფეოდალურ სახელმწიფო მეურნეობის ხასიათი. რაც შეეხება ციფრებს, თვით ბიუჯეტის ასრულებას ამ მხრით, რასაკვირველია, განსხვავება არის და განსხვავება ისეთი, რომელიც აუარესებს ფინანსიურ მდგომარეობას.

სახელმწიფო შემოსავალი მიმდინარე წლისთვის აღრიცხულია 2.476.977.000 მანათი, ესე იგი, 90 მილიონ მანათით მეტია შარშანდელზე. თუმც რუსეთი დიდ ეკონომიურ კრიზისს განიცდის, ხალხი უზომოდ დაღარიბდა, მაგრამ სახელმწიფო შემოსავალი მაინც უზომოდ მატულობს წლითი-წლობით. საბიუჯეტო კომისია მოწმობს, რომ სახელმწიფოს სავაჭრო ბალანსმა იკლო, რომ 1908 წელს ხალხმა წინანდელ 20—30 მილიონის ნაცვლად მხოლოდ 14 მილიონი მიაბარა შემნახველ კასსებს, რომ მრეწველობა ისევ დაცემულია; მაგრამ მთავრობას ეს დაქვეითება ქვეყნისა არაფრად მიაჩნია, იგი უმატებს და უმატებს შემოსავლის აღრიცხვას და საგანგებო საშუალებებით აგროვებს უზომოდ დაღარიბებულ ქვეყანაში ორ ნახევარ მილიარდ მანათს! რა მოელის იმ სახელმწიფოს, რომელიც არავითარ ზომებს არა ხმარობს ხალხის კეთილდღეობის ასამაღლებლად, კულტურის გასაძლიერებლად, კრიზისის მოსასპობლად, შემოსავალ-გასავალს-კი უზომოდ უმატებს? ამას არ უფიქრდება თვით-მპყრობელი ბიუროკრატია. ოღონდ დღევანდელი დღე და ახლო მომავალი გაძლოს და მერე ქვა-ქვაზედაც ნუღარ დარჩება...

შემოსავლის საფუძველნი, როგორცა ვთქვით, ძველია. იგი წინანდებურად მშრომელ ხალხს აწევს მძიმედ კისერზე: არა-პირდაპირ გადასახადთა რაოდენობა უდრის 63%-ს მთელის ბიუჯეტისას, პირდაპირი—11%-ს, ბაჟი—8%-ს და სხვა. როგორც წინად, ისე ეხლაც, მთავარი სტატია შემოსავლისა არის მაგარ სასმელების მონოპოლიის შემოსავალი: აქედან მთავრობა მოელის 733 მილიონ მანათს. ბიუჯეტის სიმტკიცე დაფუძნებულია ხალხის ლოთობაზე,—აი საუკეთესო დამახასიათებელი თვისება იმ უკულმართ წესწყობილებისა, რომელსაც ესოდენის თავგამოდებით იცავს მთავრობა და სათათბიროს დღევანდელი უმრავლესობა!..

სახელმწიფოს გასავალიც ძველს საფუძვლებზეა, რასაკვირველია, დამყარებული: ესეც უზომოდ გადიდებულია, მაგრამ გადიდებულია ის მისი მხარეები, რომელთაც არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ ქვეყნის, ხალხის სარგებლობისთვის, მის კეთილ-დღეობისა და კულტურულ ზრდისათვის. გასავლის სამი მეოთხედი დანიშნულია: ვალების სარგებლის გადასახდელად, ჯარისა და ფლოტის საჭიროებისათვის. ერთი მეოთხედი გადადებულია ეგრედ წოდებულ კულტურულ საჭიროებათათვის. ვალებს რომ თავი დავანებოთ (მათი გადახდა სავალდებულოა), დავინახავთ, რომ 1909 წელს სახელმწიფომ უნდა დახარჯოს 43% ჯარებისა და ფლოტის საჭიროებაზე, 45%—მთავრობის დაწესებულებათა შენახვაზე, პენსიებზე, კერძო რკინის გზების გარანტიაზე და მხოლოდ 12 პროც. უნდა მოხმარდეს ხალხის განათლებას, ჯანმრთელობას და სხვა ყველა კულტურულ საჭიროებებს. როგორც წინად, ისე ეხლაც მთავრობა მეტ ფულს მოითხოვს საპატიმროთა აშენება-შენახვაზე, ვიდრე სახალხო განათლებაზე. მაშ როგორ უნდა მოიქცეს ის მთავრობა, რომელიც მთელ თავის შემოსავალს ხალხის ლოთობის გავრცელებაზე ამყარებს?! რაც მეტი იქნება საპატიმრო და რაც ნაკლები იქნება სკოლა, მით ხალხის ლოთობაც გაძლიერდება და ხაზინასაც შემოსავალი მოემატება...

ასეთ ნორმალურ პირობებში დიდხანს დარჩენა, სასაკვირველია, არ შეიძლება და რუსეთის საფინანსო მდგომარეობას დიდი კატასტროფა მოელის. მისი თავიდან აცილება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა ძირიან-ფესვიანად გადაკეთდება ბიუჯეტის სისტემა, ეს-კი დამოკიდებულია ძველ რეჟიმის დამხობასა და ახალ პოლიტიკურ წესწყობილების სავსებით გამარჯვებაზე. სათათბირო, მით უმეტეს დღევანდელმა სათათბირო, რაც უნდა ეცადოს, ვერაფერს გაარიგებს და მთელი დაწყებული მუშაობა 1909 წლის ბიუჯეტის განხილვისათვის ისევე უნაყოფოდ ჩაივლის, როგორც მარმანდელმა მუშაობამ ჩაიარა.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

„გოლოს კავკაზა“ თავისას არ იშლის და ყოველ მკვლელობას მშვენიერ სააგიტაციო მასალად იყენებს. პოლიციელის მოკვლამ ვერაზე ახალი საბუთი მისცა შავ-რაზმულ გაზეთს. სწუხს და გოდებს, თითქო მართლა ამ კაცი-ჭამიებს გული შესტკიოდეთ ვისმესთვის და რამესთვის. „გოლოს კავკაზა“-ს, რა თქმა უნდა, შეუძლიან იფარისევლოს და ითვალთმაქცოს, რამდენიც იმის სულსა და გულს მოესურვება, მაგრამ არც ისეთ სიმდაბლემდე დაცემა შეიძლება, რომ საზიზღარის ცილის-წამებითა და ბეზღობით მოსწამლოს ჰაერი.

უკანასკნელ ნომერში (744) „გოლოს კავკაზა“ სწერს, რომ ადგილობრივი საზოგადოება („ტუზემნოე“), ადგილობრივი პრესსა სდუმს მკვლელობების შესახებაო, ესე იგი გამოდის, რომ ჩვენ, ქართველები (წერილიდან აშკარადა სჩანს, რომ მხედველობაში ქართველები ჰყავს)

ხელს ვუწყობთ და ვუმართავთ კაცის მკვლელებსა და ნაძირალებს.

ვიმეორებთ, ამ სისაზიზღრემდე მისვლა „გოლოს კავკაზა"-სთანა გაზეთს შეუძლიან მხოლოდ.

დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

20 თებერვალი.

ოსმალეთი

სტამბოლი. ლიხტერების გაფიცვა თანდათან ძლიერდება. გაფიცვაა იტალიის და რუსეთის სანაოსნო საზოგადოებაში, რომელსაც ავსტრიის ლოიდის საზოგადოებასავით საკუთარი ლიხტერთა კამანდა ჰყავდა. გაფიცულები თხოულობენ, რომ ამ გემების მოსამსახურენიც მათ ამხანაგობაში შევიდნენ. ყველა სანაოსნო საზოგადოებამ პროტესტი განაცხადა ოსმალეთის მთავრობისა და თავიანთ ელჩების წინაშე.

სტამბოლი. დივიზიის გენერალი ნურშიდ-ფაშა არტილერიის უფროსად დაინიშნა.

ბალკანეთი.

ცეტინე. გაზ. „გლას. ჩერნგორცა"-ში დაბეჭდილია მთავრობის ოფიციალური ცნობა. ჩერნოგორიის მთავრობა ჭორებადა სთვლის საზღვარ-გარედ გავრცელებულ იმ ხმებს, ვითომ ჩერნოგორიას უარი ეთქვას სერბიასთან ერთად მოქმედებაზე და პირდაპირ ავსტრიასთან გაემართოს მოლაპარაკება. ამ ტენდენციონურ ხმებს აზრადა აქვთ, შეცდომაში შეიყვანონ ევროპის საზოგადოებრივი აზრიო. მთავრობა შემდეგ ურჩევს პრესსას, დიდი ყურადღება მიაქციოს ჩერნოგორიის სკუპჩინის დადგენილებას და იმ სიტყვას, რომელიც ამ სკუპშჩინაში წარმოითქვა. დასასრულ, მთავრობის ცნობაში ერთხელ კიდევ არის აღნიშნული, რომ არასოდეს სერბიასა და ჩერნოგორიას ისე ერთსულოვანად არ უმოქმედნია, როგორც ეხლაო.

ბერლინი. პრესსა კვლავ განაგრძობს სხვა და სხვა შემაშფოთებელ ამბების ბეჭდვას სერბიაზე. ეს ამბები გაზეთებს ვენიდან მოსდით. ამის გამო „ბერლინერ ტაგებლატი" შენიშნავს: ვენაში ძველ საქმეს განაგრძობენ, ისე გამოჰყავთ, თითქოს სერბიის ხალხი და მთავრობა ძალზე იყოს ომის მოსურნეო. „ფოსიშე-ცეიტუნგი" სწერს: სერბიას უნდა, ჯერ—ერთი დრო მოიგოს, მეორე—აიძულოს სამხრად ავსტრია და მერე ბრალი იმასვე დასდოს. ის შიში, რომ ომი მოსალოდნელია, ამ უკანასკნელ დღეებში არ შესუსტებულა.

ბელგრადი. ავსტრო-ჰუნგრეთის ელჩი გრაფი ფორგაჩი, რომელიც რვა დღით წავიდა ბელგრადიდან, კვლავ დაბრუნდა.

ბერლინი. „ზ.-დ.-რ.-კორესპონდენტ"-ი ამბობს: რუსეთის მეცადინეობას ბელგრადში არსად არ თანაუგრძნობენ ისე, როგორც ბერლინსა და პარიზში. იმედია, რომ სერბია ამ მოკლე ხანში შეიგნებს, თუ რა სერიოზული მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ რუსეთმა უარჰყო მისწრაფება დიდ სერბიის აღდგენისადმი. მალე გამოჩნდება, თუ რამდენად გაამართლებს სერბია თავის მოქმედებით რუსეთის მთავრობის განცხადებას, რომ სერბიის სახელმწიფო მოღვაწეები ხელს აიღებენ ისეთ მოქმედებაზე, რომელიც საშიში იყო ევროპის მოქმედებისთვისო. სახელმწიფოები ამ მოკლე ხანში უმთავრესად იმას ეცდებიან, რომ სერბია იმდენად დაუახლოვონ ავსტრო-ჰუნგრეთს, რამდენადაც ეს საჭიროა, რომ ამ ორმა სახელმწიფომ პირდაპირი მოლაპარაკება გამართონ ერთმანეთთან. რაწამს სერბია გადავა წმინდა ეკონომიურ ნიადაგზე, ავსტრო-ჰუნგრეთი რაც კი შეიძლება ეცდება, რომ სამართლიანის პირობით მოურიგდეს სერბიას.

ვენა. პეტერბურგის სააგენტოს ცნობებით, სიმართლეს არ შეესაბამება „კორესპონდ.-ბიუროს" მიერ გავრცელებული ამბავი, ვითომ სერბიას არ მიეღოს რუსეთის რჩევა.

„კორესპ.-ბიუროს" ბელგრადიდან ატყობინებენ: როგორც ამბობენ, სერბია გადაჭრით აღარ თხოულობს ტერიტორიალურ დაკმაყოფილებას, მაგრამ არც საბოლოო უარს ამბობს თავის მოთხოვნილებებზე. სიმართლე ალბად შუაშია.

ლონდონი. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ, რუსეთის რჩევის თანახმად, სერბია უარს იტყვის ტერიტორიალურ კომპესანციაზეო.

ბერლინი. „კელ.-ცეიტუნგს" ვენიდან დეპეშით ატყობინებენ: გაზეთ „ბალპლაც"-ს ეჭვი არა აქვს, რომ „კორესპ. ბიუროს" ცნობა მართალია. გაზეთის სიტყვით, სერბიის პასუხი საუკეთესო ნიმუშია იმისა, რომ ავსტრო-ჰუნგრეთი კი არა, სერბიაა ომის გამომწვევი.

ბელგრადი. მინისტრმა მილოვანოვიჩმა მიიწვია სერბიის გაზეთების რედაქტორები და აცნობა სერბიის პასუხი რუსეთის რჩევაზე. პასუხი მეგობრულ კილოთია დაწერილი.

პეტერბურგი. სერბიის მთავრობამ შემდეგი პასუხი გაუგზავნა რუსეთს: სერბიას არავითარი სურვილი არ აქვს ომის საბაბი მისცეს ავსტრო-ჰუნგრეთს ან შესცვალოს თავისი მეზობლური ურთი-ერთობა მასთან. ამასთან სერბია ბოსნია-ჰერცოგოვინის საკითხთან ერთად არა თხოულობს ტერიტორიალურ დაკმაყოფილებას. სერბია არ ერევა იმ საქმეში, რომლის გადაწყვეტაც სახელმწიფოებზეა დამოკიდებული. მას მხოლოდ იმედი აქვს, რომ ეს სახელმწიფონი სამართლიანობას გამოიჩენენ.

ვენა. „ფრემიენ ბლატი" სწერს: „ჩვენთვის აშკარაა ის გზა, რომელსაც სერბიის საკითხში უნდა დავადგეთ. ეხლა ჩვენ გვინდა ევროპის საზოგადოებრივი ყურადღება ორ გარემოებას მივაქციოთ: 1. ბოსნიის საკითხი შეეხო იმ სახელმწიფოების უფლებებს, რომელთაც ხელი უწერიათ ბერლინის ტრაქტატზე. კიდეც ამიტომ ამ სახელმწიფოებს შეძლება მიეცათ დაეჭირათ განსაზღვრული პოზიცია. რაც შეეხება სერბიას, იგი უაზრო განზრახვას მისცემია: უნდა განახორციელოს დიდი სერბია და დარღვიოს ჩვენი იმპერიის მთლიანობა. ეს ისეთი საქმეა, რომელიც მარტო ჩვენა და სერბიას შეეხება. ამიტომ იგი საერთა-შორის საკითხად ვერ გადაიქცევა და სახელმწიფოები ვერ ჩაერევიან. ჩვენ უკვე დავამტკიცეთ ჩვენი მოთმინება და არც ამიერიდან გადაუხვევთ ამ გზას. ჩვენ სრულებითაც არ გვინდა დავამციროთ სერბია და ან ვაიძულოთ ჩვენის დაჟინებით გადასწყვიტოს რამე. პირიქით ჩვენ მოფიქრების დროს ვაძლევთ, რომ იგი ისარგებლებს ამით და ეცდება ნორმალურ ურთი-ერთობის დაჭერას მეზობელ სახელმწიფოსთან. 2. საერთა-შორისო პრესსაში გავრცელებულია შემცდარი აზრი ეკონომიურ დათმობის საკითხის შესახებ. ჩვენ თანახმანი ვართ, ცოტა რამ დაუთმოთ სერბიას, მაგრამ არა როგორც სავალდებულო რამ, როგორც კომპენსაცია ჩვენის მხრით. თუ ვუთმობთ სერბიას მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენისავე ინტერესებისათვის სასურველია სერბიის ეკონომიურად განვითარება. ამითვე გვინდა დავარწმუნოთ სერბია, რომ ჩვენ ხელს არ ვუშლით იმის განვითარებას. ევროპას უნდა ახსოვდეს, რომ არ შეიძლება ლაპარაკი ისეთ დახმარებაზე, რომელიც ავსტრო-ჰუნგრეთის უზენაეს უფლებებს ეხება და რომლის გადაწყვეტაც მარტო მაზეა დამოკიდებული. სხვა სახელმწიფოებს ჩარევის უფლება არა აქვთ. ავსტრო-ჰუნგრეთს ძალას ვერავინ დაატანს, დასთმოს ისეთი რამე, რის დათმობაც არა ჰსურს ან არ შეუძლიან".

ვენა. კრამარჟის თავმჯდომარეობით მოხდა სხდომა სლავიანთა საპარლამენტო კავშირისა. დაესწრნენ ჩეხები, სამხრეთის სლავიანები და გალიციელნი, სულ რეიხსტაგის 124 დეპუტატი. საკამათო საგნად გარეშე პოლიტიკა იყო. გამოაქვეყნეს შემდეგი ცნობა: სლავიანთა საპარლამენტო კავშირი იმედოვნებს, რომ სლავიანთა ხალხების ინტერესებისათვის მთავრობა შესძლებს დაიცვას მშვიდობიანობა. სლავიანთა საპარლამენტო წრეები აცხადებენ, რომ ეს რეზოლიუცია ავსტრიის წინააღმდეგ არ არის მიმართული და არც ადასტურებს სერბიის მოთხოვნას ტერიტორიალურ დაკმაყოფილების შესახებ. რეზოლიუციაში მხოლოდ გამოთქმულია პოლიტიკურ წრეების აზრი მოპირდაპირეთა დამღუპველ შოვინიზმისა და სამარ განყოფილების წინააღმდეგ.

ზაგრების პროცესის შესახებ „ნეიე-ფრეიე-პრესსე" სწერს: სახელმწიფო ღალატის პროცესისა და საზოგადო ვითარების გამო შემოღებულ იქმნა დეპეშის ცენზურა. არც ერთი დეპეშა უცენზუროდ არ იგზავნება. საბრალმდებლო ოქმის კითხვის დრო ზოგიერთი ბრალდებულნი სიცილით წამოიძახებენ ხოლმე, „ტყუილიაო". სხვები გაზეთსა კითხულობენ.

ვენა. პარლამენტის წრეებში სერბიის საკითხს სერიოზულ საქმედა სთვლიან. სლავიანთა დეპუტატების უმრავლესობა მწუხარებას გამოსთქვამს ადგილობრივ პრესის კილოს გამო სერბიის წინააღმდეგ მიმართულ წერილებში და განცვიფრებულია „ფრენდებლატის" აზრით, რომ სერბიამ პირდაპირი მოლაპარაკება უნდა გამართოს ვენასთანაო. ყველა საღამოს გაზეთებში დაიბეჭდა ბელგრადიდან მოსული ცნობები, რომელთა მიხედვით სერბია უარსა ჰყოფსა თურმე თავის მოთხოვნას ტერიტორიალურ ანაზღაურობის და ბოსნიის ავტონომიის შესახებ და მზად არის იარაღი დაჰყაროს, თუ ავსტრო-ჰუნგრეთი ხელს აიღებს საზღვრების გამაგრებასა და შეიარაღებაზე.

პარიზი. სერბიის პასუხს გაზეთები მშვიდობიანური კილოთი ეხებიან. „ტანი" ამ პასუხს კეთილ-გონიერ და მოხერხებულ საქმედა სთვლის. ეს პასუხი თხოულობს, სადაო საკითხი გადასჭრან იმ სახელმწიფოებმა, რომელთაც ხელი უწერიათ ბერლინის ტრაქტატზე. ამასთან პასუხი აკისრებს ავსტრიას, დაიცვას მშვიდობიანობა. „ჟურნალ-დე-დება" ფიქრობს, რომ სერბიის პასუხი ყველას დააკმაყოფილებს, ვინც კი აფასებს რამედ საერთაშორისო უფლებასაო.

საზღვარ-გარედ.

ნიუ-იორკი. ვაშინგტონში თოვლის ქარბუქი მძვინვარებს. ქალაქში შესასვლელი გზები შეიკრა დილიდანვე. შესწყდა ტელეგრაფისა და ტელეფონის მუშაობა.

რუსეთი

პეტერბურგი. სათათბიროს სასამართლო რეფორმათა კომისიამ მოიწონა კანონპროექტი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების შესახებ, იარენსკისა და უსტ-სისოლსკის მაზრებში ვოლოგდის გუბერნიაში, და აგრეთვე არხანგელისა, ტომსკისა და ტობოლის გუბერნიებში და აკმოლინასა, სემიპალატინისა და ურალის ოლქებში. ამასთან კომისიამ მიიღო ფორმულა, რომელიც საჭიროდ სცნობს მალე შემოღებულ იქმნას ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ენისეისა და ირკუტსკის გუბერნიაში და იმიერ-ბაიკალის ოლქში. ფორმულაში სურვილია გამოთქმული, რომ ასეთივე სასამართლოები შემოღებულ იქმნას პოლტავაში, ბალტიის მხარეში და [illegible] სხვადასხვა ადგილებში.

სასამართლო პალატამ სახელმწიფო ბანკის მოხელეებს, ბუხჰალტერს სმირნოვსა და კასირს სოკოლოვს მიუსაჯა პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა, პირველს—ოთხი წლით, მეორეს—სამ წელიწად ნახევრით. მათ ჰბრალდებოდათ სიყალბის ჩადენა და ფულის გაფლანგვა. სასამართლომ დაადგინა, 250 ათასი მანეთი გადაიხადონ ბრალდებულებმა.

დღე-ღამის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა 8, გარდაიცვალა 3 კაცი.

კიევი. სადგურ ლადიჟენსკაიაზე, სამხრეთ დასავლეთის რკინის გზაზე, ორთქლმავალი თოვლში ჩაიფლო. მემანქანემ ძალას მოუმატა და უნდოდა ორთქლმავალს მსწრაფლ გაერღვია თოვლი. ქვაბი გასკდა და ორთქლმავალი დაირღვა. მოკვდა მემანქანე, დაიჭრა მისი თანაშემწე.

იაროსლავლი. რიბინსკში ხოლერით ავად გახდა 1, გარდაიცვალა 1, რიბინსკის მაზრაში ავად გახდა ორი, გარდაიცვალა 1 კაცი.

„დროების" ხვალინდელ „სურათებიან დამატების" შინაარსი: „სახიფათო სიყვარული", მოთხრობა (შემდეგი) ვასილ ბარნოვისა; სურათები: არტისტი ვასილ აბაშიძე, სპარსელ რევოლიუციონერთა არტილერია, სათარ-ხანი თავის ამალით, სერბიელი სალდათები თოფებსა სწმენდავენ და სერბიელთა რაზმი ხიდს იცავს.

ახალი ამბავი

ტფილისი.

✦ **წარმოდგენა წერა-კითხვის საზოგადოების სასარგებლოდ.** დღეს, 21 თებერვალს, ქართულ თეატრში ქართული დრამატიული დასი წარმოადგენს წერა-კითხვის საზოგადოების სასარგებლოდ „ზობეიდას ქორწინებას", თარგმანი ირ. ევდოშვილისა, და „რაც არ მერგება, არ შემერგება", ვ. გუნიასი. მიზანი წარმოდგენისა თავდებია, რომ წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრება.

ფელეტონი

უცხოთა შორის

ომი და დიდი სახელმწიფოები.—ინგლისელთა შიში და ახალი პიესა.—ინდოელი რევოლიუციონერები.—მუშტი-კრივი ავსტრიის პარლამენტში.—მილიონერი მათხოვრები.

პოლიტიკური ცა შავს ღრუბლებით შეიმოსა. ჰაერში ომის სუნი ტრიალებს. საცაა იგრიალებს მეხი და ასტყდება საშინელი ჭექა-ქუხილი, ესე იგი დაიწყება ომიო.

მთელი ორი-სამი თვე ამ კილოზე სწერენ ევროპის ჟურნალ-გაზეთები. ჯერ იყო და ავსტრია-ოსმალეთის შეტაკებას მოელოდნენ. ავსტრიამ მსუქანი ლუკმა წაჰგლიჯა ოსმალეთს და აბა როგორ შეარჩენს ეს უკანასკნელი ასეთ დაბრიყვებასაო. შეუდგნენ იმის გამოკვლევას, თუ ვინ ვის დასცემს და ზურგზე ბოლს აადენს. გამოიანგარიშეს, ვის რამდენი ჯარი ჰყავს. ზოგი ავსტრიის გამარჯვებას წინასწარმეტყველებდა, ზოგი—ოსმალეთისას. მაგრამ ამ შიშმა ჩაიარა. მალე გამოირკვა, რომ ავსტრია-ოსმალეთი მორიგებით გაათავებენ საქმეს და მართლაც გაათავეს.

მერე ბოლგარია-ოსმალეთზე დაიწყეს ლაპარაკი. ბოლგარია ისეთ ფაცა-ფუცსა და ჯარის მზადებას შეუდგა, რომ ერთ ხანს ყველას ეგონა, ომი აუცილებელიაო. მაგრამ ამ ღრუბელმაც გადაიარა. ევროპაში ბევრს, ძალიან ბევრს უნდოდა, რომ ოსმალეთი, რომელიც ეს ეს არის ეხლა დაადგა განახლების გზას, ომში ჩათრეულიყო, მაგრამ ახალგაზრდა ოსმალებმა შორსგამჭვრეტელობა გამოიჩინეს და ომს საქმის მშვიდობიანად მორიგება აჯობინეს. სულ ერთია: რომ გავიმარჯვოთ კიდეც, არას მოგვცემენ და შეგვარჩენენო, სთქვეს გულში ოსმალებმა. მართალია, ჯერ საქმე არ გათავებულა, მაგრამ ნიშნები კია, რომ ომი აცილებულია.

ეხლა ჯერი სერბია-ავსტრიაზე მიდგა. აქ-კი, როგორც თანდათან ირკვევა, საქმე სახუმარო არ უნდა იყოს. პატარა და სუსტი სერბია გაკერპდა. პირველად ამას ყურადღებას არ აქცევდნენ: ისე ფახი-ფუხობს სერბია, თორემ სად შეუძლიან ავსტრიასთან შებმაო. მაგრამ სერბია აღარა ხუმრობს. ამბობენ, სერბიის ზურგს უკან სხვა ვინმეა ამოფარებულიო. ავსტრიაც არ არის მარტო, იმასაც ზურგს უმაგრებენ. დიპლომატიაში ბევრი ოინბაზობა და გაიძვერაობაა, ამიტომ ეს მითქმა-მოთქმა სიმართლეს არ იქნება მოკლებული. მაგრამ საინტერესო აქ უფრო ის არის, რომ როდესაც საქმემ სერიოზული მიმდინარეობა მიიღო, ევროპის დიდმა სახელმწიფოებმა ყურები სცქვიტეს და შიშით თვალი გადაავლეს ერთმანეთს. საქმე ის არის, რომ ავსტრია-სერბიის ომს შეიძლება ისეთი არევ-დარევა მოჰყვეს, რომ მთელი ევროპა ცეცხლის ალში გაეხვიოს. ეს-კი მაინცა და მაინც არავისთვის არ არის სასურველი, და აი სახელმწიფოებმა ჩვეულებრივ ხერხს მიმართეს—დაბალი ღობე მონახეს და თავისუფლად გადაალახეს. როგორც გუშინდელ დეპეშებიდანა სჩანს, მათ დაჩაგრულ მხარეს, სერბიას „მეგობრული" რჩევა მისცეს, თავი გაანებე ყველაფერს და ავსტრიას შეურიგდიო. ასეთია დიდ სახელმწიფოთა სიმართლისა და სამართლიანობის მოყვარულობა!

რით გათავდება საქმე,—სულ ახლო მომავალი გვიჩვენებს, ეს-კია სერბია მართლაც გაჭირვებულ მდგომარეობაშია. ძნელი სათქმელია რა უფრო საზარალოა სერბიისთვის—ომი თუ ხმის გაკმენდა. მხედველობაში იქონიეთ, რომ ავსტრია, ბოსნია-ჰერცოგოვინას შეერთების შემდეგ, რკინის სალტასავით შემოერტყა სერბიას. ეხლა სერბიას გასაქანი აღარა აქვს. იგი ეკონომიურად ავსტრიის მონა ხდება და ნელი, თან და თანი სიკვდილი მისთვის აუცილებელია.

⁂

დიახ, ომის შიში შავი ყორანივით დასტრიალებს ევროპას. ეს ერთი ხანია, გაბატონებულნი და განცხრომილნი თრთიან და კანკალებენ. ეკონომიურმა და პოლიტიკურმა უსამართლობამ უკიდურესობამდე მაღწია და ყველა ჰგრძნობს გულში, რომ თუ არ დამდგარა, მალე მაინც დადგება ის დრო, როდესაც ასე თუ ისე უნდა გადასწყდეს საქმე. რუსეთის რევოლიუციის დროს მთელი ევროპა შიშმა მოიცვა—ეს არის ეხლა დგება აღსასრულის დღეო. ეს შიში რევოლიუციის შემდეგაც არ მოსპობილა. პირიქით, ურთი-ერთისადმი უნდობლობა და „შინაურ მტრების" წინაშე შიში არასოდეს არა ყოფილა ისე ძლიერი, როგორც ეხლაა. ამ უნდობლობის დამამტკიცებლად სულ უბრალო მაგალითი კმარა.

მოგეხსენებათ, ინგლისი ყველაზე უფრო უზრუნველ-ყოფილია გარეშეთა თავდასხმისაგან, მაგრამ ისიც-კი ისეა შეშფოთებული დღევანდელ ვითარებით, რომ ორი-სამი თვეა განუწყვეტელი ლაპარაკია იქ უცხოელთა მოსალოდნელ შესევაზე.

მაიორმა დიუ-მორიემ დასწერა პიესა ამ სახელით—„ინგლისის კერა". ინგლისია ეხლა და ეს პიესა! მთელი ლონდონი ცხვირ-პირს იმტვრევს ამ პიესის სანახავად. ას-ორას მანეთს არ იშურებენ, ოღონდ კი ბილეთი იშოვნონ. პირველად ეს პიესა იანვრის შუა რიცხვებში დასდგეს და მეხუთე-მეექვსე დღეს უკვე გაყიდული იყო ყველა ბილეთი მარტამდე. პიესა, როგორც ხელოვნური ნაწარმოები, ყოვლად უხეიროა. ავტორი ამტკიცებს, თუ მტერმა მოიწადინა, ადვილად მოახერხებს ჯარის გადმოსხმას და ინგლისის დაპყრობასაო. მტრად გამოყვანილია გერმანია, რომელიც სარგებლობს იმით, რომ ინგლისში ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა გაფიცვა და საშინელი ბურუსია (რაც ინგლისში ხშირია), ერთ მშვენიერ დღეს თავის სავაჭრო ფლოტით დიდ ძალი ჯარი გადაჰყავს და იწყებს ომს.

პიესის ავტორი და მისი თანამოაზრენი ამტკიცებენ, თუ ინგლისმა სავალდებულო სამხედრო ბეგარა არ შემოიღო (დღეს ინგლისში დაქირავებული ჯარია) და დიდ-ძალი ჯარი არ გაიჩინა, განსაცდელი მოელის შემდეგშიო. ასეთი ფსიხოლოგია, კერძო უმნიშვნელო მოტივებს გარდა, აიხსნება იმ საერთო შიშითა და გამოურკვევლობით, რომელიც ზემოდ აღვნიშნეთ, თორემ დიდი ხანია დაჭეშმარიტებით არის დამტკიცებული, რომ არავითარ მტერს არ შეუძლიან ინგლისში ჯარის გადასხმა და მისი დაპყრობა.

⁂

ევროპიელთა შიშს აორკეცებს აღმოსავლეთის გამოღვიძება და გამოფხიზლება. ინგლისელი მწერალი და პოლიტიკური მოღვაწე ვინნგტონი სწერს ამის გამო:

„ევროპის სახელმწიფოებმა ანგარიში უნდა გაუწიონ იმ მოვლენას, რომელმაც თავი იჩინა აღმოსავლეთში. იაპონიის მსწრაფლი განვითარება, ჩინეთის გამოღვიძება, ოსმალეთის რევოლიუცია,—ყველა ეს ისეთი ფაქტია, რომელსაც მხოლოდ ბრმები ვერა ჰხედავენ. უეჭველია მოძრაობა ინდოეთსაც ედება".

ინგლისს ყველაზე მეტად, რა თქმა უნდა, ინდოეთი აინტერესებს. დეპეშებიდან უკვე იციან მკითხველებმა, რომ ეს ერთი ხანია იქ ტერორმა იჩინა თავი. ინგლისი დიდ რეფორმებს დაჰპირდა ინდოეთს, მაგრამ ტერორი მაინც არ ისპობა. ამას წინად ერთმა ინდოელმა სტუდენტმა განიზრახა ბენგალიის გუბერნატორის მოკვლა. რევოლვერი არ გავარდა და გუბერნატორი გადარჩა. მეორე დღეს მოჰკლეს თვალსაჩინო პოლიციელი, რომელმაც ერთი შეთქმულება აღმოაჩინა. მოჰკლეს აგრეთვე პოლიციის ინსპექტორი. ამ პოლიციის მკვლელი კანაი, რომელიც სიკვდილით დაისაჯა, ინდოელებმა დიდის ამბით დასწვეს, როგორც ეს ინდოეთშია მიღებული. ცხედარი რამდენმამე ათი ათასმა კაცმა გააცილა. წარმოსთქვეს ცხარე პატრიოტული სიტყვები. დაარსდა მრავალი საიდუმლო საზოგადოება ინგლისის ბატონობასთან საბრძოლველად. მარტო ბენგალიაში ასეთ საზოგადოებებში შედის თურმე თხუთმეტი ათას კაცამდე. გამოდის საიდუმლო საგიტაციო ფურცლები და სხვა.

ინდოეთის რევოლიუციონერებმა ევროპაშიაც დაიდეს ბინა. ლონდონში, სადაც მეტი თავისუფლებაა, ერთმა წრემ ინდოელებისამ საკუთარი სახლი შეიძინა, გაიჩინა სტამბა, ბეჭდავს ამ სტამბაში მოწოდებებსა და საგიტაციო წიგნებს და ჰგზავნის ინდოეთში. ასეთი წრე პარიზშიაც გაჩნდა.

ყველა ამას სჩადიან უკიდურესი პარტიები. ამათი დევიზია „ინდოეთი ინდოელებისთვის". ინდოეთში მარტო ერთი ბატონი უნდა იყოს, ადგილობრივი ხალხიო.

ზომიერი წრეები ასე შორს არ მიდიან. უნდა შევნიშნოთ, რომ ინდოეთში შედარებით საკმაო თავისუფლებაა სინიდისისა, სიტყვისა, პრესისა. არის ადგილობრივი თვითმმართველობა. მრავლად არსებობს დაბალი, მაღალი და საშუალო სასწავლებლები და ამიტომ ზომიერი წრეები არც ისე უკმაყოფილონი არიან ინგლისით.

მოსალოდნელია, რომ თვითონ ინგლისი დაუთმობს, თანდათან, რასაკვირველია, და საქმეს ისე არ გაამწვავებს, როგორც ამას სხვა სახელმწიფოები სჩადიან.

⁂

გამწვავების პოლიტიკას-კი, ინგლისის გარდა, ევროპის ყველა სახელმწიფო გულმოდგინედ მისდევს. სანიმუშოდ საკმაოა ავიღოთ იგივე ავსტრია.

წინადაც არა ერთხელ აღგვინიშნავს, თუ რა ზომამდე გაამწვავა მთავრობამ ავსტრიაში ურთიერთობა ჩეხებსა და გერმანელებს შორის. საქმე, გამოკეთების ნაცვლად, უფრო და უფრო იხლართება და ამას პარლამენტში საშინელი აურ-ზაური და ცემა-ტყეპაც-კი მოჰყვა.

უპირველესი სადაო საქმე ავსტრიაში, როგორც მკითხველს, ეჭვი არ არის, მოეხსენება, ენაა. რა ენა უნდა იყოს ხმარებაში ბოჰემიის მთავრობის დაწესებულებებში? ათითორმეტი წელიწადი ამ საკითხს უტრიალებენ ავსტრიაში და დღემ-

◆ **ჩხრკა.** 19 თებერვალს ვერის დაღმართსა და ოლგას ქუჩაზე დიდი ჩხრკა იყო. გუშინ დილით კიდევ შეკრეს ერევნის მოედანი და გაჩხრიკეს გამვლელ გამომვლელნი. უმთავრესად იჭერენ უპასპორტოებს და საეჭვო პირებს.

◆ **ორი გუბერნატორის წასვლა.** გაზ. „რუსკ. ზნამიას“ სიტყვით, ბაქოს და ერევნის გუბერნატორები ალიშევსკი და ტიზენგაუზენი სამსახურს თავს ანებებენ.

◆ **ტრამვაის შესახებ მოლაპარაკება.** ტფ. ტრამვაის დირექციასა და სხელოსნოს მუშებს შორის ჩამოვარდნილ უთანხმოებების გასარჩევად, მუშების მოთხოვნით, შესდგა შეერთებული კომისია, რომელშიაც შედის სამი წარმომადგენელი მუშებისა და თითონ უსახელო საზოგადოების წარმომადგენელი ლებონი. დირექციის წინააღმდეგ მუშებს წაყენებული აქვთ ბრალდებები, რომელიც 35 მუხლისაგან შესდგება. სენებულ ბრალდებების გარკვევა-დასაბუთებას შეუდგნენ გუშინ. კრებამ დილის 11 საათიდან 3 საათამდე გასტანა. ამ ხნის განმავლობაში გაარჩიეს ბრალდების 19 მუხლამდე. უშების წარმომადგენლებმა ბრალდებების დასამტკიცებლად საკმაო საბუთები წარადგინეს. დირექციის მოქმედებამ ლებონი დიდად აღაშფოთა. მან განაცხადა: ასეთის მეთაურების (დირექცია) ბრალია, რომ ტრამვაი ყოველსავე სიცოცხლეს მოკლებულიაო. თავისი სიტყვა ლებონმა ასე დაათავა: „დიდად მოხარული ვარ, რომ ასეთ კულტურულ მუშებთანა მაქვს საქმე; ამის შემდეგ ბელგიის უსახელო საზოგადოების აზრი, თითქოს ტრამვაის მუშები უკულტურონი იყვნენ, შეიცვლება“ და სხვ. ბოლოს ლებონმა სთქვა: ანამ არ მოვაწყეს-რიგებ ტრამვაის საქმეებს, აქ დავრჩებიო. შემდეგი სხდომა მოხდება დღეს. (ჩვ. საქ.)

◆ **საობლიგაციო სესხის განაღდება.** გუშინ ტფ. ქალაქის გამგეობამ ქალაქის თავის თავ. ვ. ნ. რქეზიშვილისაგან მიიღო დეპეშა — მაღლესმა მთავრობამ ნება დართო ფილისს, გაანაღდოს მესამე საობლიგაციო სესხის ფასიანი ქაღალდებიო. სულ გასანაღდებელია 00,000 მანეთის ობლიგაციები.

◆ **წერა-კითხვის საზოგადოების განყოფილებანი.** წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ 19 თებერვალს განიხილა მოხსენებანი საზოგადოების ქიათურისა და ხონის წევრებისა, რომელთაც გადაუწყვეტიათ აღნიშნულ დაბებში საზოგადოების განყოფილებათა დაარსება, აურჩევიათ გამგეობის წევრნი და ცენტრალურ გამგეობას სთხოვენ შუამდგომლობას ლეგალიზაციის შესახებ. გამგეობამ დაადგინა, აღძრას შესაფერი შუამდგომლობა. ამავე სხდომაზე გამგეობამ დაადგინა, მიიღოს თავის განკარგულებაში აკაკის სახელობის სალიტერატურო ფონდის ფული. ამ ფონდს მიემატება შემოსავალი წიგნებისა და სურათებისა. ზუბალაშვილის სახელობის სტიპენდიები დაენიშნათ თითო თუმანი 1 მარტიდან გიორგი ებრალიძეს და იასონ ჩხენკელს და 8 მ 1 მაისიდან თამარ ხარაბაძეს.

◆ **სახალხო უნივერსიტეტი.** ტფ. სახალხო უნივერსიტეტის გამგეობამ მსჯელობა იქონია საზოგადოების სკოლების არა სასურველ მდგომარეობაზე. ამ ბოლო დროს საზოგადოების სკოლებს ნაკლებად ეტანება თურმე ხალხი და ვინც ეწერება, ისიც უხალისოდ დაიარება. გამგეობამ სურვილი გამოსთქვა, მოსწავლენი განთავისუფლებულ იქმნენ სწავლის ფულისაგან. ამავე სხდომაზედ გამგეობამ დაადგინა, შესდგეს კომიტეტი, რომელსაც დაევალოს ლექციების სისტემატიურად მოწყობა. სალექციო კომიტეტში შევლენ ლექტორები, სამრეწველო დაწესებულებათა მუშების წარმომადგენელნი, სექციებისა და გამგეობის წარმომადგენელნი.

◆ **ჩაის პლანტაციები საქართველოში.** სააქციზო გადასახადის გამგეს ანგარიშით 1907 წელს ბათუმის ოლქსა და ოზურგეთის მაზრაში ჩაის პლანტაციებს სჭერიათ 462 ნახევარი დესეტინა მიწა. ამ წელს ბათუმის ოლქში მოსულა 278,909 გირვანქა ჩაი, ქუთაისის გუბერნიაში 8,118 გირვანქა. ჩაის შემოსავალი ხსენებულ წელს 112,000 მანეთი ყოფილა. ერთი დესეტინა 416 მანეთის ჩაის იძლევა თურმე.

◆ **არმავის-ტუაპსეს რკინის გზა.** „კასპის“ სიტყვით, არმავის-ტუაპსეს რკინის გზის პროექტი უკვე შეუმუშავებიათ და საგზაო საქმეთა მინისტრისთვის გადაუციათ. ფულიც უშოვნიათ.

◆ **არხიპოვის ჩამოსვლა.** მიწათა მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამართველოს კავკასიის რწმუნებული ბ-ნი არხიპოვი სამი დღის შემდეგ ჩამოვა ტფილისში პეტერბურგიდან და შეუდგება თანამდებობის აღსრულებას.

◆ **დაპატიმრება ასტარაში.** ასტარიდან გვწერენ: „15 თებერვალს „კიზილაგაჩის“ გემით მოვიდა ბაქოდან რუსეთის ასტარაში 36 კაცი, რომელნიც მიემგზავრებოდნენ ენზელში, მაგრამ რადგან ისინი დამოჟნის მოხელეებმა საეჭვო პირად იცნეს, შეიპყრეს ყველანი. ორის გარდა, ყველანი სპარსეთის პასპორტებით იყვნენ ჩამოსულნი. ეს პასპორტები მიეღოთ სპარსეთის ბაქოელ კონსულისაგან. ზოგმა მათგანმა სპასული სულ არ იცოდა. ზოგი ჩოხით და გურულ ყაბალახით იყო. ერთმა, როდესაც პოლიციას გარდასცეს, სთქვა, ენუქიძე ვარო; მინდოდა როგორმე სპარსეთში გარდავსულიყავი, რადგან სამუშაოს ვეძებდიო. პოლიციამ ოცდაათი კაცი უკანვე დააბრუნა და გადასცა ლენქორანის მაზრის უფროსს, ხოლო ექვსი, პოლიციის მოწერილობის ძალით, როგორც სპარსეთის ქვეშევრდომნი, გადასცა სპარსეთის ასტარის დამოჟნას. საზოგადოდ დიდი სისასტიკეა სპარსეთის საზღვრებზე გადასვლის დროს“.

◆ **მემანქანის მოკვლა.** 19 თებერვალს ტფ. სადგურის ახლო თავის ბინის წინ ვილაცებმა მოჰკლეს რკინის გზის მემანქანე ჯაბათოვი. მკვლელები მიიმალნენ.

◆ **გამტაცებელთა შეპყრობა.** როგორც ვწერდით, ალექსანდრეპოლის საურთიერთო ბანკიდან ფული გაიტაცეს. გაუტაცნიათ სულ 50,000 მანეთი. პოლიციას და მოქალაქეებს შეუპყრიათ ყველანი. უპოვიათ ნაწილი გატაცებული ფულის.

◆ 19 თებერვალს თავის მოკვლა განიზრახა და გულში დანა დაიკრა მიხეილის ქუჩაზე მცხოვრებმა ოსიპ ეგორინმა. დაჭრილი საავადმყოფოში გაგზავნეს,

◆ კვირას, 22 თებერვალს ავჭალაში მიდიან ტფ. ქალაქის გამგეობის წევრნი, საბჭოს ხმოსნები და სატეხნიკო საზოგადოების წევრნი, რომელთაც უნდა დაათვალიერონ ახალი მილები.

სამართლიანად და სასურველად რ გადასწყვიტეს. ჩეხები ამბობენ: ენ ბრძოლით მოვიპოვეთ ავტომია. სეიმი გვაქვს. ამიტომ სამარლიანობა მოითხოვს ამ ჩვენს ავონომიის საზღვრებში ჩვენი ენა ოს გაბატონებულიო. გერმანელე ა და მთავრობას-კი არ უნდათ ეს თხოვნილება შეისმინონ და აქამ არც ბრძოლასა და შეტაკებას ება ბოლო. წინადაც არა ერთი ძანება გამოიცა და კანონპროექ- შემუშავდა ენების შესახებ, მაგმ ხან ჩეხებმა არ მიიღეს, ხან კიევ გერმანელებმა. ენის საკითხის მო რამდენიმე სამინისტრო დაეცა დღეს საქმე იმავე მდგომარეობა-, რა მდგომარეობაშიაც ათიუთმეტი წლის წინად იყო, ამას წინად ავსტრიაში შესდგა ალი სამინისტრო—ბინერტისა. რაგან გარედ ავსტრიას გაჭირვება ადგა, სამინისტრომ განიზრახა შინ მშვიდობიანობის დამყარება და უკყოფილოთა დაშოშმინება. ამ აზით შეიმუშავა ახალი კანონპროქტი ენების შესახებ. ჩეხები ოხოულობდნენ ჩეხიის დაყოფას როვნულ ოლქებად და ამ ოლების [illegible] ჩეხურ ენის ფიციალურ ენად აღიარებას. მთავრობა სხვანაირად მოიქცა: მან თაის პროექტში ჩეხია ოც ოლქად ჰყო: ათი—ჩეხებისა, 6—გერმანეებისა და 4—არეული. უკმაყოილება ამ ოთხმა უკანასკნელმა ოლქმა გამოიწვია. ამ არეულ ოლქებში სავალდებულო ენად არც ერთი არ იქმნა აღიარებული. ჩეხებმა საზარალოდ სცნეს, რადგან სულ ერთია არეულ ოლქებში გერმანულ ენას გაბატონებენ და პროტესტის წინააღმდეგ წავიდნენ.

პარლამენტის პირველსავე სხდომაზე ჩეხელმა რადიკალებმა ობსტრუქციას მიჰყვეს ხელი და მთელი კონცერტი გამართეს დარბაზში. ჩეხებს თან მიეტანათ ავტომობილის ორი საყვირი, ველოსიპედის ზარი, დიპლიპიტოს მსგავსი საკრავი და პოლიციელის სტვირი. დაიწყო თუ არა პირველმა ორატორმა სიტყვა, მათაც გააჩინეს თავიანთი „კონცერტი“. ამ „კონცერტმა“ სრული ოთხი საათი გასტანა. საქმე იქამდე მივიდა, რომ გამოყრუებულმა დეპუტატებმა დარბაზს თავი მიანებეს. დარჩა თურმე ერთი დეპუტატი, რომელიც არხეინად იჯდა და წერილებსა სწერდა. მეო, უთქვამს ამ დეპუტატს, ხელობით მეწისქვილე ვარ და ისე შევეჩვიე ხმაურობას, რომ ეს „კოცერტი“ სასიამოვნოდ მეჩვენებაო.

ასე გათავდა პირველ დღეს სხდომა. მეორე დღეს პირველად სიტყვა წარმოსთქვა მინისტრმა გაშაიმ: იგი იცავდა ბრძანებას ფოსტის შესახებ. სხვათა შორის მინისტრმა სთქვა, ჩეხიის საფოსტო კონტორებში შეიძლება ნება დავრთოთ ჩეხურ ენის ხმარებისაო. ამ „შეიძლება ნება დავრთოთ“-ზე ჩეხელი დეპუტატები, რიცხვით 90 კაცი, როგორც ერთი ადამიანი, ფეხზე წამოიჭრნენ და მივარდნენ მინისტრს: შენ ვინა ბრძანდები, რომ „შეიძლება ნება დავრთოთო“, ამბობ! ჩვენ მოწყალებას როდი ვთხოულობთ! ეგ მთელი ჩეხიის შეურაცყოფააო. მინისტრმა მოძუძგა. ჩეხებმა განაცხადეს, სანამ მინისტრი თავის სიტყვებს უკან არ წაიღებს და ბოდიშს არ მოიხდის, პარლამენტის მუშაობა შეუძლებელიაო. გერმანელებმა იწყინეს ეს— ნებას არ მივცემთ მინისტრს, ბოდიში მოიხადოსო.

მესამე დღეს მთელი დარბაზი ხალხით გაიჭედა. შევიდნენ თუ არა მინისტრები, გაისმა ჯოჯოხეთურ კონცერტის ხმა. წინანდელ საკრავებისთვის ჩეხებს მიემატებინათ სანადირო საყვირი, დალაბანდი და სხვა ამისთანები. მინისტრ-პრეზიდენტმა თავმჯდომარეს ქაღალდი გადასცა და მთელი კაბინეტი დარბაზიდან გავიდა. ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოვარდა. თავმჯდომარემ წაიკითხა ეს ქაღალდი, რომელიც აღმოჩნდა ბრძანება სესსიის დახურვის შესახებ. სიჩუმემ ერთ წუთს გასტანა მხოლოდ. გაათავა თუ არა თავმჯდომარემ ბრძანების კითხვა, ჩეხებმა დასძახეს თავიანთი ეროვნული ჰიმნი. მათ ბანი მისცეს სლოვენებმა. პატარა ხანს უკან გერმანელები გამოერკვნენ და მათაც შემოსძახეს თავიანთი ჰიმნი, ხოლო კლერიკალებმა და ანტისემიტებმა სამეფო გვარის ჰაბსბურგების ჰიმნი გააბეს. როდესაც ყველა ესენი გაჩუმდნენ, ახლა სოციალ-დემოკრატებმა დაიწყეს მუშის სიმღერა. მაგრამ ჩეხებმა მალე სტაცეს ხელი თავიანთ „საკონცერტო“ იარაღს და ყველანი ჩააჩუმეს. გერმანელებმა იწყინეს ეს—როგორ თუ გვაჯობესო, და მივარდნენ მედალაბანდეს, რომელიც ყველაზე მაგრა აბრახუნებდა. მედალაბანდეს ჩეხები მიეშველნენ და გაიმართა ზედა-ხორა. სცემდნენ ერთმანეთს მუშტებით, ფეხებით, ჯოხებით. როდესაც გააშველეს, ზოგს თვალი ჰქონდა ჩასიებული, ზოგს სისხლი დასდიოდა, ზოგი უგალსტუხო გარბოდა, ზოგსაც, კუდ მოჭრილ კაჭკაჭივით, პიჯაკი ჰქონდა ჩამოგლეჯილი...

ასე გათავდა პარლამენტის სესია.

* * *

დასასრულ ორიოდე სიტყვა მდიდარ მათხოვრებზე.

ამას წინად ფრანგულ გაზეთ „პტი პარიზიან“-ში შემდეგი განცხადება ყოფილა დაბეჭდილი: „აგარაკზე წასვლის გამო მათხოვრის ადგილს ვუთმობ მსურველს. ეს ადგილი ეკლესიის მოედანზეა. ყოველდღიური შემოსავალი ექვსი მანეთია. უპირატესობა მიეცემა უფეხოს (მე თვითონ უფეხო ვარ)“.

ამ განცხადების გამო პარიზის გაზეთებმა წერილები უძღვნეს მათხოვრებს. „მატენი“ სწერს, ზოგიერთი მათხოვარი მშვენივრად და მდიდრულად მორთულ სახლში სცხოვრებს; ზოგს სახლში საკუთარი ტელეფონიც კი აქვსო.

ეხლა ხან მამკვდარა ერთი მათხოვარი, სახელად „უხელო პოლი“, რომელსაც მთელი პარიზი იცნობდა თურმე. ეს პოლი ორმოცი წლის განმავლობაში ერთი ეკკლესიის კარებთან იდგა და მათხოვრობდა. სიკვდილის შემდეგ ნახეს ამ კაცის ანდერძი: 200,000 მანეთი დაუტოვებია სამშობლო ქალაქისთვის, 200,000 მანეთიც საქველმოქმედო საქმეებისთვის. დანარჩენი თავისი ქონება, რომელიც მილიონ მანეთს აღემატება თურმე, სამეცნიერო საქმეებისთვის უანდერძებია..

ამ ანდერძმა ყველანი გააკვირვა. გამოიკვლიეს და აღმოჩნდა, რომ ამ კაცს თუმცა პირველად კარგა ბლომა ფული მათხოვრობით შეუძენია, მაგრამ შემდეგ მათხოვრობასთან ერთად ბირჟაზე თამაშობაც დაუწყვია და ქონება გაუათასკეცებია.

ზოსიმე.

მოწერილი ამბები

სოფელი გიორგი-წმინდა. (გარე-კახეთი) ოთხი წელიწადი გიორგი-წმინდის ერთკლასიან სამინისტრო სკოლის კარები გამოკეტილი იყო. ორი მიზეზი იყო ამისა, როგორც ყველგან საქართველოში, ისე აქ, გლეხებმა განმათავისუფლებელ მოძრაობის დროს უარჰყვეს გამორუსებელი პოლიტიკა სკოლებში და თავიანთ სკოლას ბოიკოტიც გამოუცხადეს. დღემდის ეს ბოიკოტი არ მოუხსნიათ. მეორე მიზეზად ის უნდა ჩაითვალოს, რომ რეაქციის გაბატონების შემდეგ, არც ერთს მეზობელ სოფლის ინტელიგენტს აზრად არ მოსვლია აქაურ გლეხებისათვის ეთქვა: სახალხო სკოლის ბოიკოტი დღევანდელ მომენტში ჩვენი თავის დამღუპველია. რაც შეეხება რუსიფიკაციას სკოლებში, ამას კი სხვაფრივ უნდა ვებრძოლოთო. ვიმეორებ დღემდის არ გამოჩენილა ისეთი მოწინავე ინტელიგენტი, რომ სკოლის გახსნაში ხელმძღვანელობა გაეწია გლეხებისათვის. მხოლოდ დღეს, როდესაც საქართველოს მოწინავე და მშრომელ ინტელიგენციის ყურადღება კულტურულ მუშაობისაკენ არის მიქცეული გლეხებს დაკეტილ სკოლის გახსნის საჭიროება შეაგნებინეს; ურჩიეს, მასწავლებლისთვის ჯამაგირი მიეცათ და დაექვემდებარებინათ სკოლა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისთვის. გლეხები დასთანხმდნენ და განაჩენიც დაადგინეს. მასწავლებელი უკვე მოვიდა. სკოლის მსურველი 150 ბავშვი აღმოჩნდა. წლოვანობის მიხედვით და კენჭის ყრით მასწავლებელმა მიიღო 50 ბავშვი, დანარჩენებმა უარი მიიღეს.—ის ბავშვები, რომელნიც არ მიიღეს, ტირილით გამობრუნდნენ სკოლის ეზოდან.

ამ სკოლას უფრო იმიტომ მიეტანნენ, რომ იმედი აქვთ ქართულს კარგად ასწავლიან. რადგან სკოლის გარეშე დარჩა აუარებელი ბავშვი ამიტომ აქაურ გლეხ-კაცობას აზრად აქვს სექტემბრიდან მეორე მასწავლებლის მოწვევა. თავის თავად ცხადია, რომ ორი მასწავლებლის შენახვა აქაურ გლეხებს საქმეს გაუჭირვებს. კარგი იქნება, წერა-კითხვის საზოგადოება გაითვალისწინებდეს ადგილობრივ საჭიროებას, სწავლის წყურვილს და დაეხმარებოდეს გლეხებს მეორე მასწავლებლის შენახვაში.

მოსული.

ს. კუხი. ჩვენს სოფელში არ არსებობს არავითარი კულტურული დაწესებულება, გარდა სამრევლო სკოლისა და კუხის მეაბრეშუმეთა ამხანაგობისა. ეს უკანასკნელი დაწესებულებაც სულ უკანუკან მიდის. რა იყო ის წინად, განსვენებულ ნ. წერეთლის ხელში და რას წარმოადგენს დღეს? შედარებაც კი ყოვლად შეუძლებელია. წინანდელის აჩრდილია მხოლოდ.

არ მოგვდის ჟურნალ-გაზეთები, არ იდგმება წარმოდგენები, ერთი სიტყვით, მოკლებულნი ვართ ყოველსავე გონების საზრდოს. არც გლეხებში, არც ინტელიგენციაში არა ისმის რა სამკითხველოს დაარსების შესახებ. აგრეთვე არა ისმისრა არც სასწავლებელზე. ვითომ კუხისათვის ერთი სამრევლო სკოლა საკმარისი იყოს. ადგილობრივი მოწინავე ელემენტები არა ზრუნავენ. ერთის სიტყვით, ამ ჩვენ კურთხეულ კუხში სამარისებული სიჩუმეა დღეს.

მაღალ-წვრილი.

ს. შილდა. ძნელია იმის წარმოდგენა, რასაც დღეს ამ სოფლის გლეხკაცობა განიცდის. რამდენიმე წლის გადაუხდელ მამულის ხარჯს (15000 მ.) დღეს მთავრობა თხოულობს ერთად. ამას ზედ დაემატა მაღაზიის პურის ფულის უკანვე შეტანა (8000 მ.), რომლიც ხაზინაში ჰქონდათ შეტანილი და წარსულ გაზაფხულს გამოიტანეს სასოფლო შაბიამნის სასყიდლად. 600 მანეთიც ტყის იჯარა. ამას ემატება მამასახლისისა და „სბორჩიკების“ გასამრჯელო და ადვილათ დარწმუნდებით, რა გასაჭირში უნდა იყოს აქაური გლეხი. აქაურ ხალხის ერთად-ერთი საცხოვრებელი და ხელ-მოსანაცვლებელი იყო ღვინო და ამასაც ისე დაეკარგა ფასი, რომ საპალნე (48 ვედრაა) ღვინო იძულებულია, მისცეს ჩარჩებს 10-15 მანეთად. ამ გაჭირებულ მდგომარეობით სარგებლობენ როგორც ადგილობრივი ჩარჩები, ისე თელავიდან მისულებიც. ერთმა თელაველმა ჩარჩმა ჩამოიტანა ასი თუმანი, რომელიც გადასცა მამასახლისს და ერთ სხვას იმ პირობით, რომ მათ იყიდონ ასი საპალნე კარგი ღვინო. ეს გაუბატონებიც, სარგებლობენ რა შემთხვევით ისედაც გაძვალტყავებულ გლეხს უფრო უხუთავენ სულს. გლეხს სხვა გზა არა აქვს უნდა სულ იაფად მიჰყიდოს ღვინო. თუ არ გადიხდის ფულს, ღვინოს უფრო იაფად გაუყიდიან სოფლის მოხელენი. ასეთი შემთხვევა იყო აქაც: ერთ გლეხს გადასახადი მიეცა და მაინც ქათმები დაუხოცათ მისთვის. მოთმინებიდან გამოსულ გლეხს ჯოხი დაერტყა ნამუსიდგან შორს მდგარ გადასახადის ამკრეფისათვის. „როგორ თუ შენ მოხელეს ხელი დაარტყი“, მისცვივნია მთელი ბრბო მტაცებლებისა და სიკვდილის პირამდის მიუყვანიათ. ამითაც არ დამშვიდებულან და რამდენიმე დღე-ღამე სატუსაღოში გაათევებინეს ურჩ გლეხს. ერთ დედაბერს რომ ვედარსად დაემალა ორი ინდაური, რომელიც მოსაშენებლად შეენახა, კიდობანში ამწყვდევდა თურმე, მაგრამ არც ეს გამოპარვდათ მსუნაგებს და როდესაც გადასახადისთვის მისულან, აუგლეჯნიათ კლიტე კიდობნისთვის, სადაც ინდაურები იყვნენ ჩამწყვდეულნი და კისერი წაუგლეჯიათ.

უბედური.

ბალკანეთი

ავსტრიის და სერბიის სამხედრო მზადება.

ვენის მიდამოებში განუწყვეტლივ გაისმის სროლა მსწრაფლ-მსროლელ ზარბაზნებისა და ტყვიის მტყორცნელებისა.

ავსტრიამ ამას წინად 50 ათასი ჯარის-კაცი გაგზავნა სერბიის საზღვარზე. სულ სერბიის საზღვარზე ამ ჟამად დგას 200 ათასი ავსტრიელი ჯარისკაცი. ავსტრიის მთავრობას სწადიან ეს რიცხვი ერთი ორად აქციოს, ამიტომ ამ დღეებში სათადარიგო ჯარისკაცებს გაიწვევენ ჯარში. („ბ“.)

ამას წინად სერბიის სამხედრო სამინისტრომ გერმანიაში შეუკვეთა ასი ათასი კარავი. ეხლა სერბიამ ბეჯითად მოითხოვა, რომ ეს კარვები უთუოდ 3 მარტამდე იყოს მზადა და სერბიაში გამოიგზავნოსო.

სერბიელები ომის გამოცხადებას თხოულობენ.

სერბიის ქალაქებში [illegible] მიტინგები, რომლებიც [illegible], დაუყოვნებლივ ომი გამოეცხადოს ავსტრიასო.

სერბიის პირველ მინისტრად ნამყოფს პაშიჩს უთქვამს რუსის კორესპონდენტისთვის: „გადაეცით რუსეთს, რომ სერბია დღეს-ხვალ დაიწყებს გმირულ ბრძოლას“.

40,000 თავისუფალი მეომარი.

ამ დღეებში ბელგრადში სერბიის ეროვნულ დაცვის საბჭომ მოახდინა თათბირი, რომლის დროს სერბიის ბატონიშვილმა გიორგიმ წარმოსთქვა „ცეცხლის მფრქვეველი“ სიტყვა და სხვათა შორის განაცხადა, რომ მე, ბატონიშვილმა, უკვე დავამთავრე შეიარაღება 40,000 სერბიელ თავისუფალ მეომრისა, რომელთა შორის ბევრი სათადარიგო სერბიელი ოფიცერი ურევიათ. დასასრულ ბატონიშვილმა სთქვა: თუ სერბიას ძალით მოახვევენ თავზე სამარცხვინო შეთანხმებას ავსტრიასთან, მაშინ თავისუფალ მეომართა ჯარი თითონ დაიწყებს სამხედრო მოქმედებას და მას მხარს დაუჭერს ამდენივე თავისუფალი მეომარი რუსი, რომლებიც დიდის ხალისით დაიწყებენ ბრძოლას სერბიის ერის სახელისთვისო.

უცხოეთის გაზეთები იუწყებიან, რომ სერბიის საშველად აპირობენ წასვლას 6,000 იტალიელი თავისუფალი მეომარი, 5,000 ფრანგი და 2,000 ინგლისელი.

სერბიის აგენტი დოქტორი შაიკოვიჩი ამ ჟამად პეტერბურგში იმყოფება და ბეჯითად ცდილობს თავისუფალ მეომრების შოვნას რუსეთში. შაიკოვიჩი ჰფიქრობს, რომ იგი 40,000 თავისუფალ მეომარს შეჰკრებს რუსეთში.

სერბების დემონსტრაცია ავსტრიის წინააღმდეგ.

სტამბოლის ერთ-ერთ თეატრში „მხიარულ ქვრივის“ წარმოდგენის დროს სერბებმა დემონსტრაცია მოახდინეს ავსტრიის წინააღმდეგ. სერბები, რომლებიც თეატრში იარაღით მოსულიყვნენ, სკამებს ისროდნენ სცენასა და ორკესტრში. ავსტრიის საკონსულო დამნაშავეთა დასჯას თხოულობს.

ბოსნია-ჰერცოგოვინაში.

20 თებერვლიდან (ახალის სტილით) ავსტრიის მთავრობის განკარგულებით, ბოსნიაში მოსპეს მგზავრთა და კერძო საქონლის მიმოსვლა რკინის გზებზე. მარტის დამდეგს გამოცხადებულ იქნება სამხედრო წესები. ელიან, რომ ყველა სასწავლებლებში სწავლა შესწყდებაო. პოლიციის უფროსებმა მიიღეს საიდუმლო ბრძანება ვენიდან, რომ დაუყოვნებლივ დააწესეთ სამხედრო წესები და შემდეგ დაატუსაღეთ ყველა სერბიელი ოპოზიციონური მოღვაწე, მიუხედავად მისის საზოგადოებრივ მდგომარეობისაო.

ოდესის ბირჟა.

ოდესის დიდი სამრეწველო ფირმები შეეკითხნენ ვენის ფირმებს, როგორ მიდის ბალკანეთის საქმე, ომი ხომ არაა მოსალოდნელიო. იქიდან პასუხი მოუვიდათ, რომ მდგომარეობა სერიოზულიაო. ამის გამო ბირჟაზე დაეცა ფასიან ქაღალდების კურსი. (ბ.)

სპარსეთის ამბები

რევოლიუციონერების ახალი გამარჯვება

სპარსეთის ასტარა დაიჭირეს რევოლიუციონერებმა. სათარ-ხანმა საბოლოოდ დაამარცხა ეინუდ-დოვლე, რომელიც ეს მესამე დღე და ღამე უნდება თავის დაჭრილ და მოკლულ ჯარისკაცების აკრეფას. სათარ-ხანი განსაკუთრებით მტრის მოგერებას სჯერდება და თუმცა გაიმარჯვა, მაინც თითონ არ მიდის იერიშით მტერზე. (ნ. ზ.)

რევოლიუცია რეშტში

მთელი გილანის ოლქი რევოლიუციონერების ხელშია. მთავრობის ჯარი, რეშტის წინააღმდეგ გაგზავნილი, ვერა ჰბედავს ადგილიდან დაძვრას, რადგან რეშტელმა რევოლიუციონერებმა მეტად გაიმაგრეს თავიანთი პოზიციები. რაზმელების რიცხვი დღე და დღე მატულობს, რეშტის აღების შემდეგ რევოლიუცი-

ონერების წრეში ჩაჩხირა ვიღაცა კაცი, რომელმაც მოინდომა მთელი ძალის ხელში ჩაგდება, მაგრამ მოქალაქეთა საერთო კრებამ დაჰგმო მისი მოქმედება.

საპახდარმა ასეთი დეპეშა გაუგზავნა შაჰსა: „შეასრულე ხალხის მოთხოვნა, ნუ გახდები მიზეზი ტყუილ-უბრალო სისხლის ღვრისა. ეტყობა, შენი კარის-კაცები ცუდს რჩევას გაძლევენ. ხალხმა ენზელიში დამიბარა და მოსამართლედ ამირჩია. ამას იქით, სადაც ხალხი იქნება, მეც იქ ვიქნები“.

იმავ საპახდარმა დეპეშით შეუთვალა ჯარის უფროსს სარდარ-მუზაფერს, რომელიც თეირანიდან მოდის რეშტში: „ტყუილად მოსდიხარ, ვერას დროს ვერ შემოხვალ გილანში, დაჰმარცხდები და დიდად შერცხვები. სჯობია ხელი აიღო შენს განზრახვაზე“.

მიდამოებიდან ახალ-ახალი მაშველი მოსდის რევოლიუციონერებს. რეშტში მშვიდობიანობაა, ბაზარი ღიაა. უცხოეთის ქვეშევრდომებმა თავ-თავიანთი დროშები გაშალეს. წესიერებას იცავენ რევოლიუციონერები. რუსეთის ბანკის ფული გადააქვეთ და იგზავნება რევოლიუციონერების შემწეობით და მფარველობით. რუსეთის საკონსულოდან დაითხოვეს სპარსელი ყაზახები და ჯარისკაცები, რომლებსაც ორ-ორი თუმანი დაურიგეს საგზაო ხარჯად. სომხებისა და სპარსელების ნაწილი გადის ქალაქიდან. სომეხთა და „გილანის“ რევოლიუციონერთა კომიტეტმა პროკლამაცია გამოსცეს და ხალხს ურჩიეს, ნუ მისდიხართ რეშტიდანაო. საპახდარმა გამოაცხადა: ხუთის დღის განმავლობაში შაჰის მომხრენი ყველანი უნდა გავიდნენ რეშტიდან, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში დაისჯებიანო.

რევოლიუციონერებმა, ეგრედ წოდებულმა „სათარ-კომიტეტმა“ გაანთავისუფლა დატყვევებული ძმა შაჰის—შოა-ეს-სალტანე, რომელიც ბევრს რასმე დაჰპირდა კონსტიტუციის სასარგებლოდ.

ენზელიში კონსტიტუციონალისტებმა წესიერების დასაცველად აირჩიეს სამხედრო და საფინანსო კომისია. შაჰის ყველა მომხრემ თავისი თავი კონსტიტუციონალისტად გამოაცხადა. („ნ. ზ.“)

რევოლიუციონერების გალაშქრება თეირანისკენ.

„ბაქო“-ს ატყობინებენ თეირანიდან: რევოლიუციონერები ცნობილ პანოვის (გაზ. „რეჩი“-ის კორესპონდენტად იყო სპარსეთში და შაჰის მთავრობამ განდევნა) მეთაურობით გაემართნენ თეირანისკენ, სადაც ყოველ დღე მოელიან მათ ბრძოლას შაჰის ჯართან. თეირანელები მოუთმენლად მოელიან პანოვს. ხმა დადიოდა, რომ პანოვი თეირანში იმალებაო, ამიტომ შაჰმა ბრძანება გასცა, თოფით დახვრიტეთ იგიო; შეცდომით პანოვის მაგივრად დაატუსაღეს ინდოელი ადვოკატი, რომელიც მალე გაანთავისუფლეს ინგლისის საელჩოს მოთხოვნით“.

ინგლის-რუსეთის მოლაპარაკება.

ინგლისსა და რუსეთს მოლაპარაკება ჰქონდათ გამართული სპარსეთის რეფორმების შესახებ, მაგრამ როგორც „ბაქუ“-ს ატყობინებენ ლონდონიდან, ეს მოლაპარაკება ჩაშლილა.

ხოროსანში.

ხოროსანშიაც თან და თან ძლიერდება რევოლიუცია. ახლად დაარსებულმა რევოლიუციონურმა ორგანიზაციამ გამოსცა პროკლამაცია, რომლითაც ურჩია ხალხს დაუყოვნებლივ გამართეთ გაფიცვაო. „ხალხის ყოველი მოღალატე დაუნანებლივ გასტუმრებულ იქნება მამა-პაპასთან საიქიოს,—დაე ეს კარგად ლაიხსომონ დიდმა მოხელეებმა და მდიდრებმაო“,—ნათქვამია პროკლამაციაში. ამ ერთი კვირის წინად ასეთივე მუქარით სავსე პროკლამაციები გაფანტეს მდიდრების სახლებში. ამ რევოლიუციონურმა ორგანიზაციამ თავზარი დასცა როგორც მთავრობის მოხრეებს, ისე თითონ მთავრობასაც. აი მაგალითი: ეს პროკლამაცია სხვათა შორის მიგდო იმამ რიზას მოურავის თანაშემწეს გაიმ-მაგამას, რომელიც შეშინებული მაშინვე წასულიყო ხოროსანის მთავარ-მართებელთან რუკნ-ედ-დოვლესთან,—რატომ ღონისძიებას არ მიიღებთ და დასჯით ამ რევოლიუციონერებსაო, ეკითხა გაიმ-მაგამას. პრინც რუკნ-ედ-დოვლეს ეპასუხნა: „ერთი კაციც რომ დავატუსაღოთ, მაშინვე საყოველთაო აჯანყება იფეთქებს მთელს ხორასანშიო“. მერე კიდევ დაემატებინა: გირჩევთ, კარგად ასწონ-დასწონოთ თანამედროვე წამი და აირჩიოთ ისეთი გზა, რომელსაც ყველაზე უშიშრად ჩასთვლითო“. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ გაფიცვა განახლდება; ლაპარაკობენ, რომ იგი ამ დღეებში დაიწყებაო. მეტად გამწვავებული მდგომარეობაა.

ამბობენ, რომ დერგეზელი ალა-მამედი დღესაც დერგეზშია, სადაც მან პროკლამაციები გაფანტაო. იგი აცხადებს: „თავრიზში- -სათარ-ხანია, დერეგეზში—მე, ალა-მამედიო“ ასეთივე პროკლამაციები ალა-მამედმა გაავრცელა თურმე კუჩანშიაც. იქვე დერგეზში მოქმედებს ცნობილი „ყაჩაღი“ მისირ-ხანი, რომელმაც წერილი გაუგზავნა სპარსეთის საბაჟოს უფროსს ბაჟკირანში და მოსთხოვა რაც შეიძლება მეტი ფული, ჩაი და შაქარი გაუგზავნე ალა-მამედს დერეგეზშიო, წინააღმდეგ შემთხვევაში ღამით დაგეცემი საბაჟოსაო, მოხელეებს ისე შეშინებოდათ მისირ-ხანის დაცემისა, რომ ყველანი გაქცეულიყვნენ და რუსის საბაჟოში გაუდანში დამალულიყვნენ. ხმა დადის. რომ მამედ-ალი-შაჰმა რუსის ბანკში ისესხა 100 ათასი თუმანი, ამ ფულით იყიდა 2.500 სამლინიანი თოფი და თავის ჯარისკაცებს დაურიგაო. ჯარის კაცებმა თოფებ გარდა რამდენისამე თვის ჯამაგირიც მიიღეს წინდაწინ და შაჰ-აბდულ-აზიმში „ბესტში“ ჩასხდნენ, ხოლო ვინც „ბესტში“ ჩაჯდება, იმას სპარსეთის ჩვეულებით, ხმას ვეღარავინ გასცემს. ნოვრუზის (9 მარტს) შემდეგ მოელიან საყოველთაო აჯანყებას ითელს სპარსეთში. („ბ.“)

ოსმალეთი

მითხად-ფაშა.

პარლამენტმა დაადგინა საყოველთაოდ გამოვაცხადოთ დაწვრილებითი ცნობა ოსმალეთის კონსტიტუციის შემქნელის მითხად-ფაშის მკვლელობის შესახებაო.

სოციალ-დემოკრატიულ პ რტიის დაარსება ოსმალეთში.

„ფრანკფურტერ ცაიტუნგ“-ს ატყობინებენ ქალ. უსკუბიდან (მაკედონიაშია): მაკედონიაში ერთი კაცის თაოსნობით დაარსდა სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელშიაც უკვე ათასობით შევიდნენ მუშები განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა, უმთავრესად ადგილობრივ გაზეთებში მომუშავენი.

საპროტესტო მიტინგი.

სტამბოლში, სულთან ახმედის მოედანზე, გამართეს დიდებული მიტინგი პროტესტის გამოსაცხადებლად იმ კანონ-პროექტის წინააღმდეგ. რომელიც სახელმწიფო საბჭომ შეადგინა პრესისთვის და რომლითაც შეზღუდულია სიტყვის თავისუფლება. მიტინგს დაესწრო სულთნის მემკვიდრე პრინცი რეშადი, პარლამენტის თავმჯდომარე ახმედრიზა და სხვა წარჩინებულნი ოსმალელნი. სიტყვები წარმოსთქვეს როგორც ოსმალებმა, ისე ბერძნებმა და სომხებმა. მიტინგმა მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

„სხვა და სხვა ეროვნების წარმომადგენელნი, რიცხვით 6 ათასზე მეტნი, შეკრებილნი სულთან ახმედის მოედანზე, აცხადებენ, რომ სახელმწიფო საბჭოს მიერ შემუშავებული და პარლამენტში წარდგენილი კანონ-პროექტი პრესის შესახებ ეწინააღმდეგება ჩვენს კონსტიტუციას, და თხოულობენ, რომ პარლამენტმა გადაჭრით უარჰყოს ეს კანონ-პროექტი.

თეატრი და ხელოვნება

ვერის აუდიტორია („ორი დარაჯი“ და „ექიმთან“). ხუთშაბათს, 14 თებერვალს, ვერის აუდიტორიის სცენის მოყვარეებმა ქ-ნ ჩერქეზიშვილის მონაწილეობით წარმოადგინეს სამ მოქმედებიანი დრამა „ორი დარაჯი“ და გომართელის ერთ მოქმედებიანი ვოდევილი „ექიმთან“. „ორმა დარაჯმა“, მეტი რომ არა ვთქვათ, სუსტად ჩაიარა და მაყურებლებზე ვერავითარი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა. კარგი იყო ბ-ნი ლეხურელი უცნობის პატარა როლში; არა უშავდარა, როგორც სცენის მოყვარეს, ბ-ნ მეტრეველს, რომელიც სცდილობდა გულიანად ეთამაშნა და სხვებიც გაემხნევებინა, მაგრამ ამაოდ. მეტრეველს ეტყობა, და იმედია, მომავალში რიგიანი სცენის მოყვარე დადგება. არა უშავდარა აგრეთვე მარგველაშვილს (დაურეტს), მან შედარებით გრძნობით ჩაატარა თავისი როლი. დანარჩენები, სალაყაიას (ვალენტინო, ციხის დარაჯი) გარდა, ისე უგულოდ, ისე უხერხულად თამაშობდნენ, რომ სწორედ გასაკვირველია, როგორ გაუშვეს სცენაზე. ასეთი უგულო, უშინაარსო თამაში მგონი არსად არ შეიძლება, კარგი იქნება, რეჟისორმა ამას ყურადღება მიაქციოს.

ვოდევილმა „ექიმთან“ ცოტა გამოაფხიზლა ხალხი აღსანიშნავი არიან ქ-ი ჩერქეზიშვილისა მოხუცი ქალის როლში, თუმცა ქართულ სცენაზე უკეთ თამაშობს ხოლმე, ქსნელი—გლეხის როლში, რომელიც მართლაც ნამდვილი გლეხი ეგონა ხალხს—ეს გლეხი სათამაშოდ ალბად სოფლიდან ჩამოიყვანესო; ანკარა, სოციალისტ ქალის როლში და ბ-ნი ლეხურელი ებრაელის როლში, თუმცა მეტს მოველოდით იმისაგან, იგი ზოგიერთ ადგილში კოჭლობდა. დანარჩენებს არა უშავდათ რა.

დასასრულ, კარგი იქნება გამგეებმა წესიერებას მიაქციონ ყურადღება, თორემ წარმოდგენის დროს არა ისმის რა: ერთ კუთხეში ჭიდაობენ, მეორეში კრიობენ, მესამეში იცინიან და სხვა. ერთმა რამ გამაკვირვა: აუდიტორიაში მოინტელიგენტე ქალებიც დაიარებიან; სწორედ გასაკვირველია ამათი საქციელი. რაღაცნაირად მაღლა უჭირავთ თავი, ყვირიან, ხმა მაღლა იცინიან. ერთმა ისე გააჭირა საქმე, რომ შეუძლებელი იყო იქ დარჩენა, თამაშობის დროს კომენტარიებს ხომ საზღვარი არა ჰქონდა. მათის აზრით, უაზნაუროდ თამაშიც აზნაურია და კიდეც ასრულებენ ამას.

რუსეთი

◆ **სევასტოპოლის გენერალ-გუბერნატორი.** როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველს მოეხსენება, სევასტოპოლის გენერალ-გუბერნატორმა პოლიციის გასაძლიერებლად ქალაქის უძრავ მამულებს ერთ პროცენტიანი გადასახადი შეაწერა. ქალაქის თვითმართველობას სენატში ეჩივლია გენერალ-გუბერნატორისთვის და შუამდგომლობა აღუძრავს გააუქმოს ეს უკანონო დადგენილება. სენატს არ შეუწყნარებია ქალაქის თვითმართველობის საჩივარი და უპასუხნია, იმისთანა ადგილებში, სადაც განსაკუთრებული წესებია გამოცხადებული, გენერალ-გუბერნატორს უფლება აქვს ასეთ ზომებს მიჰმართოს, მხოლოდ ხელმწიფე-იმპერატორს უნდა მოახსენოს, რაიც სევასტოპოლის გენერალ-გუბერნატორმა უკვე აღასრულაო.

◆ **შავ-რაზმელები და სარწმუნოება.** ამ რამდენიმე დღის წინად კიევში „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ წარმომადგენლების კრება მოხდა. კრებაზე დიდი კამათი გამოუწვევია იმას, საჭიროა თუ არა დაბადებაო. უმეტესობა იმ აზრს დასდგომია, რომ დაბადება, როგორც ებრაელების ნაწარმოები, „კრამოლნიკურია“ და ხმარებაში აღარ უნდა იყოსო; საჭიროა სასულიერო სასწავლებლებში აღიკრძალოს მისი სწავლებაო. კრებას ვერაფერი გადაუწყვეტია. ამ საკითხს ხელმეორედ განიხილავენ კიევში „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ და სამღვდელოების წარმომადგენელთა შეერთებულ კრებაზე.

◆ **დირექტორების კრება.** ამა წლის 14 თებერვალს კიევში დამთავრდა კრება საშუალო სასწავლებლების. დირექტორებისა. კრებას, სხვათა შორის, უნდა განეხილა საკითხი—სადა და რა ადგილას გაიხსნას საშუალო და დაბალი სკოლები. კრებას სამოსწავლო ოლქის მზრუნველისთვის მოხსენება წარუდგენია, სადაც ნათქვამია, რომ საჭირო არ არის საშუალო და დაბალ სასწავლებლების (ოთხკლასიან) გახსნა, რადგან სულ ერთია, მარტო არა რუსებით გაივსება ეს სასწავლებლებიო.

◆ **„ლუსენის თვითდაცვის“ საქმე.** 14 თებერვალს სამხედრო სასამართლოში დამთავრდა საქმე „ლუსენის თვითდაცვის“ შესახებ და სოციალისტ-რევოლიუციონერების კომიტეტისა. ერთი თვეა, რაც ეს საქმე ირჩეოდა. მიესაჯათ: სამს—სიკვდილით დასჯა, 21—კატორღა სამიდან რვა და 6 წლამდის, ორს—გადასახლება, შვიდს—ციხე ოთხი თვიდან ორ წლამდის, სამს სატუსაღო—ერთი წლიდან და ოთხი თვიდან 8 წლამდე, 12 ბრალდებული გაამართლეს. პირველ სათათბიროს ყოფილ დეპუტატს ვლადიმერ შემეტოვს სასამართლომ 4 თვით ციხე მიუსაჯა. სასამართლოს დაუდგენია იშუამდგომლოს, სამ კაცს სიცოცხლე ეპატიოს.

◆ **სიკვდილით დასჯა.** სიკვდილით დასჯა გადაუწყვეტილი აქვთ: უფაში—ხუთს, სევასტოპოლში—ერთს, ეკატერინოსლავში—ოთხს, ვილნოში—ერთს, კიევში—სამს. სიკვდილით დასაჯეს: ვლადივოსტოკში—ერთი, კიევში—ერთი.

◆ **პურიშკევიჩი.** მომრიგებელ მოსამართლეს, რომელმაც პურიშკევიჩის საქმე გაარჩია, პურიშკევიჩისაგან წერილი მიუღია, სადაც, სხვათა შორის, სწერია: „თქვენ თქვენი გრუზენბერგებით პასუხს გამცემთ ამ საქმისთვის“. მომრიგებელ მოსამართლეს ეს წერილი პურიშკევიჩის საქმისთვის მიუკერია.

◆ **აზეფ-ს შვილი.** გაზეთები სწერენ: როდესაც აზეფის შვილს, რომელიც პარიზის ერთ სასწავლებელში სწავლობს თურმე, გაუგია მამის ოინები, თავის მოკვლა განუზრახავს, მაგრამ ამხანაგებს გადურჩენიათ.

◆ **ლოპუხინის საქმე.** გაზეთ „ნოვოე ვრემიას“ ცნობით, ლოპუხინის საქმის გამო სამართალში აძლევენ სოციალისტ-რევოლიუციონერების ერთ ჯგუფს, რიცხვით ცამეტ კაცს.

თვითმკვლელობის სტატისტიკა. გაზეთ „რეჩის“ სიტყვით, 1908 წელს პეტერბურგში თვით მკვლელობას წინა წლებთან შედარებით ერთი-ორად უმატნია. 1904 წელს თავი მოუკლავს 427 კაცს, 1905 წელს—446, 1906 წელს—522, 1907 წელს—796, 1908 წელს კი 1,442 კაცს, აქედან 924 მამაკაცი ყოფილა და 513 დედაკაცი. ყველაზე მეტი თვით მკვლელობა მარტსა და აგვისტოში მომხდარა, 174 და 151 კაცი. თავის-მკვლელთა მეტი წილი 18—30 წლისა ყოფილა. ამასთან ერთად უმატნია აულით ავადმყოფთა რიცხვს. ამ ჟამად პეტერბურგში 3,200 სული ავადმყოფი ყოფილა. ამას იმითი ხსნიან, რომ ბოლო დროს ძალიან გავრცელდა უსაქმოდ დარჩენილ მუშათა რიცხვი.

წერილი რედაქციის მიმართ

გაზეთ „დროების“ მე-26 ნომერში მოთავსებულია ბ-ნ ლადო ნაცვლიშვილის „რედაქციის მიმართ წერილი“. ამ წერილში ბ-ნი ნაცვლიშვილი ზოგიერთ ამხანაგებს, რომლებსაც ვითომ ვ. ბურჯანაძეს და ნ. აბზიანიძეს შორის ჩამოვარდნილი უთანხმოება უნდა „გამოგვეკვლიოს“—ბევრ ისეთ რამეს გვწამებს, რაც სანამდვილეს სრულიად მოკლებულია. ბ-ნი ნაცვლიშვილი საზოგადოების წინაშე ბრალსა სდებს ვ. ბურჯანაძეს და ამ შემთხვევაშიაც ჩვენი სახელით სარგებლობს (სრულიად უსაფუძვლოდ), რაზედაც არც ზნეობრივი და არც იურიდიული უფლება არ ჰქონდა.

სინამდვილის აღსადგენად ჩვენ ერთი ამხანაგის პირით ბ-ნ ნაცვლიშვილს მივმართეთ, სამედ. სამართალში გამოგვეყოლოდა. ბ-ნმა ნაცვლიშვილმა უარი განაცხადა, მხოლოდ ბოლოს დაუმატა: „თუ პრესის საშუალებით გამომიწვევთ, მაშინ გამოგყვებითო“. ჩვენც ვასრულებთ იმის თხოვნას და პრესის საშუალებით ვიწვევთ ხელახლა სამედ. სამართალში. წინადადებას ვაძლევთ, ორი დღის განმავლობაში ამ წერილის გამოქვეყნებიდან, დაასახელოს თავისი მხრით ერთი კაცი.

დავით ჩადუნელი, ავქსენტი ლორთქიფანიძე, მეთოდე კაკაბაძე.

გაზეთ დროების მე-26 და მე-34 ნომრებში დაბეჭდილი იყო შემცდარი ცნობა ჩემს შესახებ.

საქმე ასე გახლდათ: აკაკის საიუბილეო მთავარ კომიტეტის რამდენიმე წევრმა მირჩია წავსულიყავი ქუთაისს და ბაქოს და იქ აკაკისადმი მირთმეული ნივთები და ადრესები მომეგროვებინა და მომეტანა ტფილისში. აკაკისაც დავეკითხეთ და იმანაც საჭიროდ სცნო ჩემი წასვლა. მე გავემგზავრე, დავესწარი დღესასწაულს 14 დეკემბერს ქუთაისს ამის მეორე, მესამე და მეოთხე დღეს მოვიყვანეთ ცნობაში ყველა მირთმეული ნივთები და ადრესები, მოვაგროვე და წამოვიღე ტფილისში. ორ ეტლზედ დატვირთული მოვიტანე წერა-კითხვის საზოგადოებაში და ყველა ეს ნივთები ჩავაბარე სიით ბ-ნ სამსონ ფირცხალავას სავსებით. ამ გვარადვე გავემგზავრე ბაქოში, დავესწარი იქაურს დღესასწაულს 21 დეკემბერს და რაც რამ ნივთი და ადრესები იყო, წამოვიღე და აგრეთვე ტანისამოსები „ნინოსი“ „ქეთევანისა“ და „თამარისა“ გაბატონეს ტფილისიდგან ბაქოში დასადგმელ ცხოველ სურათებისათვის. უკანვე ჩამოვიტანე ტფილისში და ჩავაბარე გამგეობას. ეს ორ გზითი მგზავრობა გარდა პირად მოცდენისა, როგორც გზის ფულით ისე სხვა ხარჯით დამიჯდა ათ თუმნამდის, მაგრამ მე ვიანგარიშე მხოლოდ ნაწილი ხარჯისა 48 მან. და წარუდგინე მთავარ კომიტეტს; თუ პატივ-სადებად დაინახავდა მთავარი კომიტეტი, მოეცა ჩემთვის ზემო ხსენებული 48 მან. პირველს თებერვალს მთავ რმა კომიტეტმა იქონია მსჯელობა ამის შესახებ, იცნო სამართლიანად ჩემი განცხადება და ერთხმად გადასწყვიტა მომეცან ზემოხსენებული ფული და მივიღე კიდევაც. შემდეგ კრებაზე ბ-ნმა პარმენ ქიქინაძემ აღძრა კითხვა და დაიწყო ლაპარაკი იმაზე, რომ წინდაწინ ფორმალურად არა გვქონია დადგენილი მერკვილაძის გაგზავნა და ამისათვის არ უნდა მისცემოდა ფულიო. ბ-ნმა თავმჯდომარემ გადაჭრით სთქვა: კომიტეტის წინანდელს გადაწყვეტილებას მე ვერ შევშლი და ერთხელ გადაწყვეტილ საკითხს ვერ დავუბრუნდებიო. რაკი ამ საქმეში თავი იჩინა ფორმალურმა მხარემ და ბ-ნმა ქიქინაძემ ფორმალურ ნიადაგზე დააყენა ეს კითხვა, მე განვაცხადე: „მე ნალაპარაკევი და ნამადლევი არა მინდა რა და ჩემს შრომას და ამ ფულს აკაკის ფონდს შევწირავ მეთქი. აქვე უნდა მოვიხსენო ისიც, რომ მართალია კომიტეტის ფორმალური წინასწარი დადგენილება არ ყოფილა ჩემს წარგზავნაზედ, მაგრამ ამ გვარივე წინასწარი დადგენილება არ ყოფილა მრავალ კომიტეტის სხვ. ხარჯებზედაც, მაგრამ ყველამ თავისი მიიღო უდავიდარაბოთ.

ვსთხოვ კომიტეტის წევრებს თუ ჩემს ნათქვამში მცირედიც სიმრუდე იყოს, გამოაცხადონ. **სოსიკო მერკვილაძე.**

ვსთხოვ გაზეთ „ჩვენი საქმის“ და „ტფილისის ლისტოკის“ რედაქციებს გადაბეჭდონ ეს ჩემი განმარტება თავის პატივცემულ გაზეთში. **ს. მ.**

განცხადებანი

ექიმი ე. ს. ხუნდაძე ქუთაისში იღებს შინაგან, სამარდე და ქალთა სნეულობით ავადმყოფებს, აგრეთვე ბებიაობს, ყოველ დღე: დილით 10—1 ს., საღამოთი 6—7 ნახევარ საათ. ლევაშოვის ქუჩა, ს. N 29 ჩარექოვისა. (წლ.—6.—15)

გეომეტრი და მარკშაიდერი

ბ. ს. ასათიანი

გეგმავს ყოველგვარ ადგილებს, ადგენს ზომიერს ფასებში **სახლებისა** და სხვა საქალაქო შენობების **პლანებსა და პროექტებს.**

ქალაქი ქუთაისი, ქალაქის გამგეობა, ვ. ხ. ასათიანი. (0—6.—86)

პირველი კერძო სამკურნალო

დოქტ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ქუჩა, კორპუსი)

ყოველ დღე, კვირეებს გარდა

დ ი ლ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.

ყ. მ. ჩიქოვანი: 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ნახ. ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

ა. მ. პუგინოვი: 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

ა. ი. კარაპეტიანცი: 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.

ა. მ. ტურბოვიჩი: 1 ნახ.—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ვ. გეევსკაია-ენგელი: 6—6 ნახევ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ი. დ. მარციშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.** (წ.—1—31)

თესლეულობის

მაღაზია კიწმარაშვილის და ამხ.-სა **ქუთაისში**, პუშკინის ქუჩა, უპრავის ქვეშ.

მიღებულია საუკეთესო ჯიშების იონჯის, სამყურის, კონდრების, ბჟოლის, ეკლის ხის (гледичъ) და ყოველნაირ ბოსტნეულობის, ყვავილების და სხვა თესლეულობა. აქვე იყიდება ნამყენ ხეხილების ნერგები. მსურველთ პრეისკურანტი ეგზავნებათ მუქთად. (25—კვ.—16)

პეტერბურგში გამოვიდა რუსულ ენაზე ახალი წიგნი მალაქია ბოლქვაძისა

ნუ რცხვენით ქალებს!..

ანუ

„კაცობრიობის მტერი“

შინაარსი: წინასიტყვაობა.—წარსული.—აწმყო.—სქესობრივი ინსტიქტი და გონება.—მრუშის პსიხოლოგია.—გონს მოდით.

ფასი 65 კაპ.

„დროების“ ხელის მომწერთ დაეთმობათ 50 კაპ. შემოსავლის ნაწილი გადაეცემა ტფილისის ქართველ ქალთა წრეს. დაკვეთა შეძლება შემდეგ ადრესით: Петербургъ, Сергіевская, 81, ф. Каминской.



ვაუწყებ პატივცემულ მუშტარს,

რომ მე ტფილისში გავხსენი განყოფილება ჩემის ღვინით სავაჭრო ფირმისა. იყიდება:

შამპანიური,

მომზადებული ფრანგული წესით იმერულ ღვინოებისაგან (ბუნებრივია).

იმერ. კარგად დაყენებული ღვინო

რომელიც კახურ ღვინისაგან სინაზით და სასიამოვნო გემოთი განირჩევა.

სამკურნალო ღვინოები

ხერესი, პორტვეინი, მალაგა, მარსალა და

● მ ა დ ე რ ა ●

ეს ღვინოები ამაგრებენ სხეულს და შველიან საჭმლის მონელებას,

ფასები ძალიან ზომიერია!

მთავარი საწყობი და ქარხანა **ქუთაისში**, საკ. სახლი. განყოფილება **ტფილისში**, სასახლის ქ., ს. სარაჯიშვილისა, ეზოში,

პატივის ცემით **ფ. ნ. ჭელიძე.**

ამასთან დაბეჯითებით ვთხოვ მუშტარს ჩემი ქარხნის ნაწარმოები იმერული შამპანიური

„კოლხიდა“

და

„ცარიცა ტამარა“

არ აურიონ დონის შუშხუნა ღვინოებთან. (10—გაყ.—8)

ყველას შეუძლიან უზარალოდ

დარწმუნდეს, რა იაფი და კარგია შემდეგი საქონელი პირდაპირ ჩვენი ქარხნიდან გამოწერილი ქარხნის ფასებით:

„ინგლისური ტრიკო“—მეტად მკვიდრი, პრაქტ. და კოხტა შალის მატერია, რბილი შალის ქსოვილი მოხდენილ და დარბაისლურ კაცის ტანისამოსისათვის, შემდეგ ფერისა: შავი, მუქი და ღია ცის-ფერი, მიხაკის ფერი, ზეთის-ხილის ფერი, ენდროს-ფერი, ხადა რუხი ან ლამაზ უჯრიანი, ზოლიანი და წინწკლებიანი, რომელიც მატერიას აძლევს მესანიშნავ და ლამაზ სახეს. სეზონის უკანასკნელი მატერიები; კაცის მთელი კასტიუმისთვის 4 არშინი და 1 ჩარექი ღირს: 5 მ. 25 კ., საუკეთესო ღირსებისა—6 მ. 50 კ., „პ რ ი მ ა“-ს სორტისა—8 მ. 40 კ., „ექსტრა“-ს სორტისა—10 მ. 50 კ. და 12 მ. 50 კ. ს უ ლ ა ხ ა ლ ი რ ა მ: მატერია „ბოსფორი“ 4 არშინი და 1 ჩარექი—11 მ. და 50 კ., „ექსტრა“—14 მ. 50 კ. ვინც სამ ან მეტ ნაჭერს დაიბარებს—უფასოდ მიიღებს სარჩულს.

ქალებისთვის „ინგლ. კონფექციონი“ ყოველგვარ ფერისა, სადა ან ზოლიანი, წინწკლიანი და უჯრიანი, მეტად პრაქტიკული და კოხტა საქალო კასტიუმებისათვის; ფასი 8 არშინისა (ქალის მთელი კასტიუმისთვის): 4 მ., 5 მ. 60 კ.. 6 მ. 75 კ. და 8 მ. 50 კ.

„ტიროლის ტილო“—ქალისა და კაცის ნაირ-ნაირი საცვლებისათვის, საუკეთესო თვისებისა, მეტად თეთრი, სქელი და მკვიდრი, სიგანით 24 ვერშოკი; ნაჭერი (24 არშინი) ღირს 5 მ. 50 კ., საუკეთესო თვისებისა 5 მ. და 6 მ. 75 კ.

უზარალოდ. ვისაც საქონელი არ მოეწონება, ფულს უბრუნებთ. ჩალაგება და გაგზავნა ფირმის ხარჯით. ფას-დადებით გაგზავნაში მანეთზე ემატება 2 კ., ზოლდ ციმბირში—მეტი წონისა. მეკვეთილ საქონელს უმეღთაც ვგზავნით.

ადრესი: Фабрика Т-ва Суконно-Шерстянной мануфактуры, Г. Лодзь, N 18.

კარგ საქონლისათვის ფირმას ჯილდოები აქვს მიღებული რუსეთისა და საზღვარ-გარეთის გამოფენებზე. (7—6.—4)

სტამბა „ხინათლე“, დიდი ვანქის ქუჩა, № 12.

რედაქტორ-გამომცემელი ი. ს. აბლაძე.